პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

№ 220 (20561) ◆ პარასკევი, 22 სექტემბერი, 1989 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

პლენუმს მიაჩნია, რომ პლატფორმის იდეები და დებულებები შეესაბამება გარდაქმნის საარსებო მოთხოვნებს და შეიძლება გახდეს საბჭოთა ფედერაციის განახლების, ყველა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის განვითარებისა და სხვა ეროვნულ პრობლემათა გადაწყვეტის საფუძველი სსრ კავშირის ყველა ხალხის საკეთილდღეოდ.

„თანამედროვე პირობებში პარტიის ეროვნული პოლიტიკის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან.

გ. გ. გუმბარიძის გამოსვლა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1989 წლის 19 სექტემბერს

ამხანაგებო!

ერთა თვითგამორკვევის ლენინური პრინციპი ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს შემდგომი დემოკრატიზაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ხდება, და ეს დამაჯერებლად წარმოაჩენს გარდაქმნის ობიექტურ კანონზომიერებას.

პარტიის, თითოეული პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტი და გავლენა საზოგადოებრივ ცნობიერებაში სულ უფრო მეტად დაუკავშირდება მათ უნარს, გვევლობდნენ ეროვნული თვითშეგნების გაფართოების, უნიკალური სულიერ ღირებულებათა გამრავლების, იმ საჭიროებათა და მოთხოვნილებების უფრო სრული დაკმაყოფილების საიმედო გარანტად, რომელიც ყოველ ერს აქვს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ყოველგვარი სხვა გზა დემოკრატიის, განახლების ტენდენციებისაგან განდგომა იქნებოდა.

ამასთან ჩვენ არ გვაქვს უფლება ჯეროვნად არ შევაფასოთ ამ გზაზე წამოჭრილი პრობლემების მთელი სირთულე და არაერთგვაროვნება. გარდაქმნისა და საჯაროობის მეოხებით გამოთავისუფლებულმა ეროვნულმა ენერგიამ, რომელსაც, რა დასამალია და, ჯერ კიდევ ცუდად წარვმართავთ, უკვე გაარღვია დამკვიდრებული ფორმები და ჩარჩოები. ეროვნებათშორის და საზოგადოებრივ ურთიერთობებს ქვეყანაში თვისებრივად ახალ საფეხურზე მხოლოდ მაშინ ავიყვანთ, თუ მკვეთრად გავაფართოებთ მათი გამოყენების დიაპაზონს. და ამ პრობლემათა გადაწყვეტის დაყოვნება ყოვლად შეუწყნარებელია. ხალად უნდა ვითვალისწინებდეთ, რამდენ არასტანდარტულ და უჩვეულო პირობებში მოქმედებს დღეს ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია, რომლებიც შემოქმედებითად უზრუნველყოფენ პარტიის გეზის შესაბამისობას ეროვნულ ინტერესებთან და მასების ინიციატივასთან.

საიდუმლო როდია, რომ ავტორიტარულ პრინციპებზე აღზრდილი ზოგიერთი ჩვენი პოლიტიკური ინსტიტუტი ჯერ კიდევ იჩენს ერთგვარ დაბნეულობასა და გაუბედაობას იმ დიდი ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული და სხვა პრობლემების გადაწყვეტისას, რომელთაც ეროვნული ელფერი აქვთ, მაგრამ განა არ გამხდარა ეროვნული იდეალები კონსოლიდაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ისტორიის მკვეთრი შემობრუნების ჟამს? განა ეს არ არის საზოგადოების ზნეობრივი გაჯანსაღების, ხანგრძლივი უძრაობიდან მისი გამოყვანის რეალური რეზერვი?

განვლილი ათწლეულების მანძილზე ჩვენ იმდენი გავაკეთეთ უნიტარული სახელმწიფოს შექმნისთვის, იმდენად გამოვაცალეთ არსი თვით ერის პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის იდეას, რომ დღეს აქ გამართლებულია ყველაზე გაბედული გადაწყვეტილებები, რომლებიც შეგვაძლებინებს ეფექტიანად ჩავრთოთ ეროვნული ინიციატივა გარდაქმნის აღმშენებლობით პროცესში.

მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების ეს დებულება ჩვენი აზრით ზედმიწევნით სწორად გამოხატავს ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი პლენუმის მთავარ მიზანსა და ამოცანას. და, ვფიქრობ, სწორედ ამ თვალთახედვით უნდა განვიხილოთ და სერიოზულად დავხვეწოთ სკკპ პლატფორმის პროექტი თანამედროვე ეტაპზე ეროვნული პოლიტიკის დარგში.

არ ვიტყუებთ თავს იმ ილუზიით, რომ ხვალ-ზეგ ჩვენში თავისთავად გაქრება ყველა ეროვნებათშორისი პრობლემა. შეუძლებელია ერთი ხელის დაკვრით გადაწყვიტო ისინი, თან ისეთ ქვეყანაში, სადაც ცხოვრობს 120-ზე მეტი ერი და ყოველ მათგანს აქვს თავისი კულტურა, ისტორია, ენა, თავისებური აზროვნების წესი. ვიყოთ რეალისტები, — ეს ნიშნავს განვსაზღვროთ საკვანძო რგოლი. და ამ ეტაპზე მთავარი საყრდენი უნდა გახდნენ მოკავშირე რესპუბლიკები, მთელი კომპლექსი საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებულია მათი როგორც ნამდვილად სუვერენული სახელმწიფოების, ქვეყნების მართვის ახალი პოლიტიკური სტრუქტურის ძირითადი უჯრედის უფლებებისა და უფლებამოსილების გაფართოებასთან.

უკვე გამოკვეთილი ცენტრიდანული ტენდენციების გათვალისწინებით რესპუბლიკების სუვერენიტეტის აღდგენა უდავოდ მიანიჭებს დამატებით სტიმულს მათ ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ წინსვლას, ობიექტურად გამოიწვევს ინტეგრაციისა და კონსოლიდაციის მოთხოვნილებას უფრო მაღალი და სრულქმნილი ეკონომიკური და ინტელექტუალური საფუძვლების პირობებში. ეროვნულ ეკონომიკათა არასაკმარისი მთლიანობა, რომელიც ასუსტებს ერების ეკონომიკურ პასუხისმგებლობას, სერიოზულ დაბრკოლებად რჩება ამ საქმეში.

ჯერ კიდევ მწვავედ იგრძნობა თანამიმდევრულობისა და სიმტკიცის დეფიციტი რესპუბლიკებისათვის შესაბამისი პოლიტიკური და მაშასადამე, ეკონომიკური უფლებების მინიჭებისას. ყოველი ნაბიჯი უდიდესი ძალისხმევის ფასად გვიჯდება. პარტიული პლატფორმის პროექტი, რომელსაც, საქართველოს საზოგადოებრიობის აღიარებით, მთლიანად რეალური წვლილი შეაქვს ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ეროვნებათშორის ურთიერთობათა სრულყოფაში, ამასთანავე, მაინც არასაკმარისად ამკვიდრებს ამ უფლებებს, ზოგჯერ შეიცავს ურთიერთგამომრიცხველ დებულებებს, რაც აისახა ჩვენს შენიშვნებსა და წინადადებებში, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს რომ გავუგზავნეთ.

ამგვარ გადაწყვეტილებათა ეფექტიანობა შეიძლება უზრუნველვყოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც საბოლოოდ განვთავისუფლდებით უძრაობის სტერეოტიპებისაგან, შევუქმნით რესპუბლიკებს შესაძლებლობას უმთავრესად დამოუკიდებლად და ნებაყოფლობით, სპეციფიკური თავისებურებების შესაბამისად წყვეტდნენ, რა ფუნქციური მოვალეობების დელეგირებაა გამართლებული, მათი აზრით, ცენტრისათვის. ამ მიზნით, უწინარეს ყოვლისა, არსებითად უნდა გაფართოვდეს ინფორმაციის არხები. ჩვენ სამხედრო ხარჯებსაც კი ავხადეთ ფარდა. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ხალხებს უფლება აქვთ დანამდვილებით იცოდნენ, რას ხმარდება საკავშირო ბიუჯეტში თავმოყრილი კოლექტიური სახსრები, რამდენად შეესაბამება ეს მათ ინტერესებს. როგორც ჩანს, მეტი დიფერენციაციაა საჭირო ცენტრალიზებული წესით დასაფინანსებელი ფართო მასშტაბის ეკონომიკური პროექტების განხორციელების დროსაც, იმისდა მიხედვით, თუ როგორია ამა თუ იმ რესპუბლიკის კონკრეტული დაინტერესება. ამ მხრივ ფართო შესაძლებლობებს სახავს რესპუბლიკათშორისი ინტეგრაცია, ჰორიზონტალური კავშირურთიერთობანი.

და მთლად უადგილოა დიქტატი სოციალურ-კულტურული ამოცანების გადაწყვეტისას. სოციალისტური მონოკულტურის ერთგვარი ურჩხულის შექმნის ცდები მხოლოდ აღარიბებდნენ ჩვენს სულიერ სამყაროს, უსპობდნენ მას ჭეშმარიტ მრავალფეროვნებას, ეროვნულ თავისთავადობას და უტოვებდნენ მხოლოდ ფორმალურ გარეგნულ ატრიბუტებს.

ეროვნული ფაქტორების გაფართოება უკლებლივ ყველა სფეროში, — ეს ჩვენი უდიდესი სიმდიდრე და ულევი რეზერვია, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს უზრუნველვყოთ ხალხთა ყველაზე ღირებული პოლიტიკური, სოციალური, სამეურნეო, კულტურული, ზნეობრივი ტრადიციების მემკვიდრეობითობა. სწორედ ამ მიზნით, რესპუბლიკური პარტორგანიზაციისა და საზოგადოებრიობის ინიციატივით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში შემუშავდა საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფციის პროექტი. იგი რესპუბლიკის თავისებურებებს, მის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების უმდიდრეს გამოცდილებას ეყრდნობა. კონცეფციის პროექტი ყოველმხრივ ითვალისწინებს საკუთრების ფორმების მრავალფეროვნებას, ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებს, ისტორიულ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, მოსახლეობის მოთხოვნილებათა სპეციფიკას, მის ტრადიციებს, ცხოვრების წესს, რეგიონულ თავისებურებებს. კონცეფციის ფარგლებში განისაზღვრება დემოგრაფიული პოლიტიკის, მიგრაციის პროცესების სრულყოფისა და რეგულირების, ეკოლოგიური ვითარების არსებითი გაჯანსაღების ძირითადი მიმართულებანი. მნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული სულიერი ცხოვრების ისეთი ფუძემდებელი სფეროების განვითარებისათვის, როგორიც არის სახალხო განათლება, მეცნიერება, კულტურა.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კონცეფციას საფუძვლად უდევს ამოცანა — ორგანულად ჩავაბათ საერთო-ეროვნული აღმშენებლობის პროცესში საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხი. ჩვენი აზრით, ეს რეალურად შეუწყობს ხელს ეროვნებათშორისი დაძაბულობის განმუხტვას, რომელმაც, ჩვენში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, თავი იჩინა უკანასკნელ ხანს, კერძოდ, პლენუმის წინაც.

პრობლემის გადაჭრის საფუძვლად მიგვაჩნია აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოება თავიანთ ტერიტორიაზე ეროვნებათშორისი ურთიერთობის რეგულირების სფეროში, რაც უფრო მკაფიოდ უნდა აისახოს სკკპ პლატფორმაშიც. ეს არის ბუნებრივი ისტორიული პროცესი, რომელიც ემყარება მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას და დღევანდელ რეალობებს. როგორც გამოცდილებით დავრწმუნდით, სადავო საკითხთა გადაწყვეტისას რესპუბლიკების სუვერენიტეტის შელახვა მხოლოდ ამძაფრებს პრობლემებს, ანიჭებს მათ ქრონიკულ ხასიათს. შეიმჩნევა იმის აშკარა სიმპტომები, რომ ექსცესები ეროვნებათშორის ნიადაგზე ხშირად წინასწარ არის დაპროგრამებული და გამიზნული საიმისოდ, რომ მოითხოვონ კომენდანტის საათის, მმართველობის განსაკუთრებული ფორმის შემოღება, და, მაშასადამე, უკუაგდონ დემოკრატიული პრინციპები, გადაუხვიონ აღებულ კურსს. ისეთი შეგრძნებაც კი გეუფლება, რომ ზოგიერთ აქციას ხელოვნურად, პროვოკაციულად იწვევენ, რათა განამტკიცონ ცალკეული თეორიზირებანი და სქემები ეროვნებათშორისი ურთიერთობების დარგში. ყოველივე ეს, როგორც მართებულად აღინიშნა მოხსენებაში, დამღუპველ გავლენას ახდენს გარდაქმნაზე.

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გვისწავლია, რომ მოთმინებით, ჯეროვანი გაგებით, ცივი გონებით უნდა აღვიქვამდეთ ცალკეულ პოლარულ, თუნდაც რადიკალურ აზრებს. ბევრს აცბუნებს ისეთი საკითხების თვით დაყენება, როგორიც არის, ვთქვათ, რესპუბლიკის მოქალაქეობა, ახალწვეულთა მიერ სამხედრო სამსახურის გავლის ადგილი, ეროვნული საჯარისო ფორმირებების აღორძინება, რომლებმაც, სხვათა შორის, ღირსეულად გაუძლეს გამოცდას დიდ სამამულო ომში. ამავე დროს, რატომღაც გაცილებით უფრო მშვიდად აღიქვამენ ისეთ მოქმედებას, როდესაც ყოვლად დაუფიქრებლად გვთავაზობენ საზღვრების გადაკეთების რეცეპტებს, მიმართავენ ცდებს შებოჭონ ეროვნებათშორისი პრობლემები უნიფიცირებული არითმეტიკული ფორმებით და უგულებელყონ ხალხთა ათასწლოვანი ისტორია, აქეზებენ დაიწყონ იმის გარჩევა, თუ ვინ ვის რა აწყენინა, რასაც შედეგად მოსდევს მხოლოდ ვნებათაღელვის გამძაფრება. აშკარაა, რომ აქ ზოგ-ზოგებს ღალატობს პოლიტიკური ალღო.

მეც იძულებული ვარ აღვნიშნო, რომ ამ ცოტა ხნის წინ რესპუბლიკაში ეროვნებათშორის ნიადაგზე მომხდარი ამბების დროს ბევრი მასობრივი ინფორმაციის საშუალება მარტოოდენ ტაქტის საკითხებში კი არ სცოდავდა, არამედ გამოავლინა კიდეც სრული არაობიექტურობა. არ შეიძლება დასკვნები გამოგქონდეს ცალმხრივი მიდგომის საფუძველზე, ისე, თუ ღრმად არ ჩასწვდი პროცესებისა და ფაქტების არსს.

უსამართლობაა, ბრალდებებს უყენებდე ხალხს, რომელსაც ეროვნებათშორისი ურთიერთობების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები მოსდგამს, რომელსაც 80-ზე მეტი ერის წარმომადგენლები შეუფარებია და მათგან ყველაზე მცირერიცხოვანთათვისაც კი შეუქმნია პირობები, რის წყალობითაც საუკუნეთა მანძილზე შეუნარჩუნებიათ მათ თავისთავადობა, კულტურა, ენა. საჭიროა მეტი გაგებით ეკიდებოდნენ პატარა რესპუბლიკის პრობლემებს, რომლის შემადგენლობაში შედის სამი ავტონომია, — აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რესპუბლიკისას, რომლის სკოლებშიც სწავლება წარმოებს რვა ენაზე — ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ესტონურ, ბერძნულ ენებზე, სადაც შვიდ ენაზე გადის ეთერში რადიოგადაცემები და ექვს ენაზე იბეჭდება გაზეთები. მზრუნველობას არ ვაკლებთ აგრეთვე ებრაელი, ქურთი მოსახლეობის და სხვათა მრავალფეროვანი კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

კომპაქტური ბინადრობის ადგილებში ეროვნული უმცირესობანი უკვე მრავალი წელია ფაქტობრივად სარგებლობენ კულტურული ავტონომიის უფლებებით, შესაძლებლობა აქვთ მშობლიურ ენაზე ასწავლონ თავიანთ შვილებს, მოამზადონ და დააწინაურონ ეროვნული კადრები, წარმომადგენლობდნენ ხელმძღვანელ ორგანოებში. ყოველივე ეს ჩამოყალიბდა ობიექტურად, გარედან ძალდაუტანებლად, ჩამოყალიბდა როგორც გამოხატულება მკვიდრი ერის წარმომადგენელთა პატივისმცემლური დამოკიდებულებისა სხვა ერებისადმი და ამიტომ მას უფლება აქვს მოითხოვდეს ასეთივე პატივისმცემლურ დამოკიდებულებას მათგან თავისი კულტურის, ტრადიციებისა და ენისადმი.

საუკუნეობრივი ძმური ურთიერთობა აკავშირებს ქართველ და აფხაზ ხალხებს. ეს ურთიერთობა განაპირობა ერთობლივმა ისტორიულმა ცხოვრებამ ერთ, საერთო ტერიტორიაზე, საერთო საზრუნავმა, საერთო განვითარებამ, საერთო მისწრაფებებმა. ამ ურთიერთობამ მრავალ განსაცდელს გაუძლო.

დიახ, აფხაზ ხალხს თავს დაატყდა უბედურება და გაჭირვება პიროვნების კულტის ტრაგიკულ ხანაში, რომელმაც არ დაინდო არც ქართველი და არც ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხები. მაგრამ უსამართლობა იქნებოდა ყოველივე იმის დაუნახაობაც, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ მიანიჭა აფხაზეთს მისი არსებობის ათწლეულების მანძილზე, უწინარესად, ეროვნულ განვითარებაში, ავტონომიის პირობებში.

განა მრავლისმეტყველი არ არის ის ფაქტი, რომ ამჟამად მრავალეროვან აფხაზეთში, სადაც აფხაზები 17 პროცენტზე ოდნავ მეტს შეადგენენ, აფხაზთა ეროვნულ კადრებს უკავიათ არჩევითი ორგანოების ადგილების 40 პროცენტამდე და ხელმძღვანელი პოლიტიკური და სამეურნეო თანამდებობების ნახევარზე მეტი? უკანასკნელი წლების მანძილზე აშენდა ათობით ახალი სკოლა, გაიხსნა საკუთარი უნივერსიტეტი, ეროვნული სახელმწიფო თეატრი, ტელევიზია. ფუნქციონირებს შემოქმედებითი კავშირები, მთელ მსოფლიოში დადიან საგასტროლოდ ეროვნული შემოქმედებითი კოლექტივები. გაიზარდა გამომცემლობის სიმძლავრე, ფართოვდება ლიტერატურის, პერიოდიკისა და სხვა ბეჭდვითი პროდუქციის აფხაზურ ენაზე გამოცემათა მოცულობა. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ მიღებულ იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სპეციალური დადგენილება აფხაზური ენის შესახებ, ახლა მზადდება მისი განვითარების სახელმწიფო პროგრამა. არ შეიძლება არ ამჩნევდე იმასაც, თუ როგორ ამაღლდა აფხაზეთის მოსახლეობის ცხოვრების დონე. აქ არც არის საჭირო მოვიშველიოთ სტატისტიკა.

ასეთ პირობებში მხოლოდ იმას შეეძლო დანაშაულებრივად ხელყო თავისი ხალხის მშვიდობიანი ცხოვრება, პროვოკაციულად გამოეწვია ეროვნებათშორისი კონფლიქტი მიწა-წყალზე, რომელსაც ისტორიულად არ ახსოვს მსგავსი ამბავი, ვინც, ეროვნული ინტერესების ნიღბს ამოფარებული, ცდილობს მიაღწიოს თავის ეგოისტურ და ამბიციურ საწადელს, ვინც გარდაქმნის შეურიგებელი მოწინააღმდეგეა. ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება სსრ კავშირის პროკურატურის ზედამხედველობით და ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ყველაფერი ობიექტურად დადგინდება, და სიმართლე, ჭეშმარიტება უდავოდ იზეიმებს. დაწყებული ეროვნებათშორისი დიალოგი, საოლქო პარტორგანიზაციისა და მთელი ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტების მტკიცე გადაწყვეტილება დაძლიონ წამოჭრილი სიძნელენი, გვისახავს რწმენასა და ოპტიმიზმს, რომ ჩვენს კავშირს პრობლემები აღარ შეექმნება.

როგორც იცით, რესპუბლიკის სხვა რეგიონებშიც იყო გართულებანი ეროვნებათშორის ნიადაგზე. სადავო საკითხები ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების საფუძველზე წყდება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ უზრუნველვყოთ მტკიცე ეროვნებათშორისი მშვიდობიანობა, დავამკვიდროთ ნდობა ადამიანებს შორის.

ეროვნებათშორისი ურთიერთობის განვითარების, ეროვნული თვითშეგნების გაღრმავების პრობლემები დღევანდელობის ურთულესი რეალობაა, გარდაქმნის განუყოფელი ატრიბუტია, დემოკრატიის გზაზე მას არა აქვს ალტერნატივა. მეორე გზა — მხოლოდ კონფრონტაციაა. სწორედ ამიტომ განახლების გზაზე მტკიცედ დამდგარი ჩვენი პარტია ხალხების, მშრომელებისათვის უნდა იყოს მთავარი გამაერთიანებელი პოლიტიკური ძალა, რომელიც ზურგს კი არ შეაქცევს ეროვნულ პრობლემებს, არამედ, უშუალოდ მოჰკიდებს ხელს მათ გადაწყვეტას, უზრუნველყოფს კონსოლიდაციას და დაამკვიდრებს თავისი ეროვნული პოლიტიკის ახალ პრინციპებს. რესპუბლიკური პარტორგანიზაციები, რომლებიც კომუნისტების მეშვეობით მოქმედებენ, მოვალენი არიან მიაგნონ ურთიერთ მისაღებ კომპრომისებსა და ყველა საკითხის გადაწყვეტის გზებს. ამასთან, არამც და არამც არ უნდა დაუშვან თავიანთი რიგების გათიშვა ეროვნული ნიშნის მიხედვით. ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში საქმის წარმატებით გაძღოლაზეა დამოკიდებული ჩვენი მომავალი, გარდაქმნის ბედი, ჩვენი საზოგადოების გადასვლა ნამდვილად დემოკრატიულ ცხოვრების წესზე.

დღეს, პარტიის მიერ დაწყებული ქვეყნის ცხოვრების გარდაქმნის პასუხსაგებ და რთულ პერიოდში, საოცრად თანადროულად ჟღერს ჩვენი დიდი სულმნათი წინაპრის უკვდავი აფორიზმი: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია!". ეს სიბრძნე ყოველი ერის განვითარებისა და აყვავების საფუძველთა საფუძველია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე კრიუჩკოვი



დაიბადა 1924 წელს ქალაქ ვოლგოგრადში, რუსია. სკკპ წევრია 1944 წლიდან. არმიის გენერალია. დაამთავრა საკავშირო დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს უმაღლესი დიპლომატიური სკოლა. შრომითი გზა დაიწყო 1941 წელს მუშად ქარხანაში. 1943 წლიდან იყო საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგი მშენებლობაზე, საკავშირო ალკკ ვოლგოგრადის რაიკომის მდივანი, ვოლგოგრადის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი. 1946 წლიდან მუშაობდა ვოლგოგრადის ოლქის პროკურატურის ორგანოებში. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს უმაღლესი დიპლომატიური სკოლის დამთავრების შემდეგ 1954 წლიდან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების მესამე მდივანი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს მესამე მდივანი იყო. 1959 წლიდან იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში: რეფერენტი, სექტორის გამგე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის თანაშემწე. 1967 წლიდან ხელმძღვანელ თანამდებობებზეა სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში. 1978 წლიდან სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა, 1988 წლიდან კი — თავმჯდომარე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრია 1986 წლიდან. დაჯილდოებულია ორი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის, წითელი დროშის ორდენებით, ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი იური დიმიტრის ძე მასლიუკოვი

დაიბადა 1937 წელს ტაჯიკეთის სსრ ქალაქ ლენინაბადში, რუსია, სკკპ წევრია 1966 წლიდან. 1962 წელს დაამთავრა ლენინგრადის მექანიკის ინსტიტუტი. ამის შემდეგ მუშაობდა სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში ინჟინრად, უფროს ინჟინრად, განყოფილების უფროსის მოადგილედ, დირექტორის მოადგილედ. 1970 წლიდან იჟევსკის მანქანათსაშენებელი ქარხნის ფილიალის მთავარი ინჟინერი, შემდეგ სსრ კავშირის თავდაცვითი მრეწველობის მთავარი ტექნიკური სამმართველოს უფროსი, მინისტრის მოადგილეა. 1982 წლიდან სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილეა. 1985 წლის ნოემბრიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, 1988 წლის თებერვლიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარეა.

1986 წლიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრია. 1988 წლის თებერვალში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად. დაჯილდოებულია ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის" ორდენებით.

ლენინურ პრინციპებზე ეროვნებათშორისი ურთიერთობის ახალი თვისებებისაკენ

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი", № 219 (20560).

ტრიბუნაზეა პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ი. ს. კარაბასოვი. ჩვენ ყველანი ვგრძნობთ, თქვა მან, სოციალურ დაძაბულობას საზოგადოებაში, წინააღმდეგობანი ცხოვრების ბევრ სფეროში უმაგალითოდ გამწვავდა.

ჩვენი სამშობლოს ბედის საკითხზე აზრთა ბრძოლა აშკარად სცილდება სოციალისტური პლურალიზმის ფარგლებს, გადადის იდეათა სფეროდან რეალური პოლიტიკის სფეროში. ამასთან დაკავშირებით დიდ შეშფოთებას იწვევს ნაციონალისტური განწყობილებების, კონფედერალისტური ტენდენციების, ეროვნული კარჩაკეტილობისა და ტერიტორიული განცალკევებისადმი ტენდენციების ზრდა. არის ცდები პარტიაც დაანაწევრონ და ეროვნულ ბინებში მიუჩინონ ადგილი. ამიტომ, მოსკოველ კომუნისტთა აზრით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აწონ-დაწონილი პლატფორმა, დღევანდელი მოხსენების მთელი რიგი გამომაფხიზლებელი დებულებანი კარგი საფუძველია ჩვენს ქვეყანაში ეროვნებათშორისი ურთიერთობის სტაბილიზაციისა და განვითარებისათვის. საჭიროა, რა თქმა უნდა, ამ წინადადებათა თანამიმდევრული განხორციელება.

სამწუხაროდ, დასახულის რეალიზაცია ჯერჯერობით ყველაზე სუსტი ადგილია ჩვენს მუშაობაში.

ამას ადასტურებს საზოგადოებრივი აზრის შესწავლა, კერძოდ, ჩვენი ქალაქის მშრომელთა და მცხოვრებთა შორის. ისინი აღნიშნავენ, რომ გაუბედავი და არათანამიმდევრულია გარდაქმნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ჯეროვან რეაქციას არ იწვევს სოციალისტურ ღირებულებათა, იდეალების წაბილწვა. საქმე ეხება იმას, რომ კომუნისტური პარტია უნდა გამოდიოდეს აქტიურ მაინტეგრირებელ ძალად, გარანტად, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი კავშირის ერთიანობას.

ამასთანავე საქმის ვითარება პარტიაში, განაგრძო ორატორმა, მოსკოვის კომუნისტების, ქალაქის პარტიული ორგანიზაციების სერიოზულ შეშფოთებასა და წუხილს იწვევს. იდეური, ორგანიზაციული მერყეობა, მისი რიგებიდან სულ უფრო მზარდი გამოსვლა წარმოშობს ბევრი კომუნისტის, მათ შორის პარტიული აქტივის ურწმუნობას, დაბნეულობას. ორატორმა ილაპარაკა პარტიის საქალაქო კომიტეტის ამასწინანდელ პლენუმზე.

ახლა, გაშლილი დისკუსიის პირობებში, თქვა მან, ჩვენ ვილტვით, რომ მისი მოწყობის მთავარი ადგილი გახდეს პარტიული კრებები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, ხოლო დისკუსიის მონაწილენი — ქალაქის ყველა კომუნისტი. მიმდინარეობს ფართო საზოგადოებრივი დიალოგი, რომელშიც, მართლაც, არ არიან ჭეშმარიტების მონოპოლისტები და არ არის განხილვისათვის დახურული თემები.

დისკუსიის შედეგი იქნება ჩვენი კონკრეტული წინადადებანი პარტიის წესდების გამო, წინადადებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკური პლატფორმის გამო, რომელზეც დღეს ილაპარაკა მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა მოხსენებაში. ყოველივე ამას ჩვენ შევაჯამებთ პარტიის XXVIII ყრილობის შესახვედრად ამა წლის დამლევს პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე.

დღეს ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება პარტიის მორიგი ყრილობის მოწვევის ვადების შესახებ. მარტო წინადადება — ყრილობის მოწყობა გაისად ოქტომბერში, — რა თქმა უნდა, მძიმე მდგომარეობაში აყენებს პირველადს პარტორგანიზაციებსაც, რომლებმაც შემდეგი ანგარიშგება-არჩევნები უნდა მოაწყონ უკვე გაზაფხულზე, ახლანდელი საანგარიშო-საარჩევნო კამპანიიდან სულ ნახევარი წლის შემდეგ. ამიტომ, შესაძლოა, ღირს მისი გაკეთება, რომ 1990 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში შემოვიფარგლოთ ანგარიშგებით და არჩევნებით რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ დონეებზე. რაც შეეხება პირველადს პარტორგანიზაციებს, მომდევნო ანგარიშგება-არჩევნები მათში შეიძლება მოეწყოს უკვე ყრილობის შემდეგ, მისი გადაწყვეტილებების საფუძველზე.

პარტიის მორიგი ყრილობისათვის მზადების თვალსაზრისით დღევანდელ პლენუმზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის განხილვას უთუოდ აქვს საკვანძო მნიშვნელობა. მრავალეროვანი საქალაქო პარტიული ორგანიზაციისათვის დღეს გამომუშავებული პრინციპული მიდგომები ჩვენი ფედერაციის განვითარებისადმი პრაქტიკული ორიენტირები გახდება მის ინტერნაციონალურ საქმიანობაში.

მოსკოვი საკუთარ თავზე განიცდის ეროვნულ პოლიტიკაში დაშვებული გადახრების შედეგებს, იგი იტანჯება ცენტრალური სამინისტროებისა და უწყებების დიქტატისაგან. დარგობრივი მიდგომის ბატონობამ დაარღვია ნორმალური კავშირი ქალაქს, რესპუბლიკებს, ქვეყნის ცალკეულ რეგიონებს შორის.

ამ სიტუაციიდან გამოსავალი, უწინარეს ყოვლისა, გვესახება იმაში, რომ მივიღოთ კანონი მოსკოვის, როგორც სსრ კავშირისა და რუსეთის ფედერაციის დედაქალაქის სტატუსის შესახებ. მასში შესაძლებელი იქნებოდა მოსკოვის როგორც უდიდესი სახალხო-სამეურნეო და კულტურული კომპლექსის რესპუბლიკებთან და რეგიონებთან ურთიერთობის რეგლამენტირება ჯანსაღ სამართლებრივ და ეკონომიკურ საფუძველზე.

დედაქალაქის სტატუსი უნდა განმტკიცდეს სამეურნეო ანგარიშზე მოსკოვის გადაყვანითაც. ახლა მომზადებულია სამეურნეოანგარიშიანი ურთიერთობის პირობებში მუშაობასა და ცხოვრებაზე ქალაქის გადასვლის შესახებ დებულების პროექტი.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობის საკითხად მიგვაჩნია ის, რომ ამ კონცეფციის შემუშავებისას არ შემოვიზღუდოთ რაღაც ლობით, როგორც დღეს თქვეს, რესპუბლიკების, სხვა რეგიონების ინტერესებისაგან, არამედ ყოველმხრივ განვამტკიცოთ ტრადიციული, ჩამოყალიბებული ეკონომიკური კავშირურთიერთობა, რათა არ დავუშვათ ეკონომიკური სეპარატიზმი, რომელიც არსებითად დამღუპველია ქალაქისათვის, ისევე როგორც ყოველი სხვა ტერიტორიისათვის.

მოსკოვი ოდითგანვე ყალიბდებოდა, როგორც დიდი ქვეყნის თავისთავადი, მრავალეროვანი ცენტრი. მასში საუკუნეთა მანძილზე წარმოდგენილი იყო ეროვნული კულტურების, ხელოსნობის, არქიტექტურული სტილების მრავალფეროვნება. ჯერ კიდევ 20-იან წლებში, 30-იანი წლების დამდეგს მოსკოვში აქტიურად რეალიზდებოდა ლენინის იდეები ყოველი საბჭოთა ადამიანის ეროვნული მოთხოვნების უთუო დაკმაყოფილების შესახებ. ქალაქში არსებობდა ეროვნული მუშათა კლუბები, ეროვნული სკოლები, ეროვნული კავშირები, საზოგადოებები, ეროვნული გაზეთები. ჩვენ ვუბრუნდებით ერთაშორისი ურთიერთობის განვითარების ლენინურ პრაქტიკას. მოსკოვში ახლა ცხრა საქალაქო ეროვნულ-კულტურული საზოგადოება მუშაობს.

უახლოეს ხანს ასეთ სტატუსს მიიღებს კიდევ რამდენიმე საზოგადოებრივი ფორმირება.

გარდა ამისა, მთელი რიგი კულტურულ-ეროვნული ორგანიზაციები მუშაობენ რაიონულ დონეზე. მოსკოვში გაიხსნა 40-ზე მეტი სსრ კავშირის ხალხთა ენების სწავლების სასკოლათშორისო ფაკულტატივი. ამუშავდა ეროვნული კინემატოგრაფიების ცენტრი. ნელა, მაგრამ უკვე იქმნება მოკავშირე რესპუბლიკების კულტურულ-სავაჭრო ცენტრები.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია.

განსაკუთრებული პრობლემებია მოსკოვის, როგორც რუსეთის ფედერაციის სულიერი, და არა მარტო ადმინისტრაციული ცენტრის, აღორძინება. ჩვენ მხარს ვუჭერთ წინადადებას, რომ საჭიროა მოსკოვში იყოს რუსეთის ფედერაციის ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქების, ოკრუგების მუდმივი წარმომადგენლობები, პლატფორმის პროექტის განხილვის დროს მოსკოველები აქტიურად უჭერდნენ მხარს რსფსრ უმაღლეს საბჭოში ეროვნებათა საბჭოს შექმნას.

როგორც ცნობილია, მიღებულია გადაწყვეტილება რუსეთის პროფკავშირების შექმნის შესახებ. ყოველმხრივ ყურადღებას იმსახურებს წინადადებებიც რუსეთის სხვა რესპუბლიკური საზოგადოებრივი ფორმირებების შექმნის შესახებ. ამ ფონზე უფრო ღრმა დამუშავებას საჭიროებს რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის იდეა.

(გაგრძელება მე-2 გვ.).

ლენინურ პრინციპებზე ეროვნებათშორისი ურთიერთობის ახალი თვისებებისაკენ

(გაგრძელება)

ცხადია, აღნიშნა დასასრულ ორატორმა, პარტიის პროგრამა და წესდება შეიძლება მხოლოდ საერთო იყოს, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა და წესდება. ამასთან ერთად, რუსეთის რესპუბლიკური ორგანიზაციის არსებობა გარდაქმნის პირობებში შესაძლებელს გახდის ადგილებზე პარტიული მუშაობის განახლებისათვის უფრო საგნობრივად ხელშეწყობას. ამით ცენტრი მოუახლოვდებოდა რუსეთის რეგიონებში გადასაჭრელ მრავალფეროვან პრაქტიკულ პრობლემებს. განმტკიცდებოდა ინტერნაციონალისტური პოზიციებიც პარტიაში.

სიტყვა ეძლევა პარტიის იაკუტიის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს **ი. ნ. პროკოპიევს.**

პასუხს ბევრ კითხვაზე, თქვა მან, შეიცავს მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის მოხსენება პარტიის ცენტრალური კომიტეტის დღევანდელ პლენუმზე და პარტიის პლატფორმის განსახილველი პროექტი. მათში მოცემულია ეროვნული საკითხის გადაწყვეტაში დაგროვილ წინააღმდეგობათა და სიძნელეთა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების ანალიზი. ჩამოყალიბებულია გარდაქმნის პოზიციებიდან საზოგადოების კონსოლიდაციისა და ერთაშორისი ურთიერთობის ჰარმონიზაციისათვის შემდგომი მუშაობის სტრატეგია.

სკკპ პლატფორმაში სერიოზული ნაბიჯია გადადგმული წინ თანამედროვე პირობებში პრობლემათა გააზრებისა და რეალისტური ეროვნული პოლიტიკის შემუშავების საქმეში. ამასთან ერთად, პლატფორმის პროექტში ყველა მომწიფებული საკითხი არ არის მოცული და წარმოჩენილი თანაბრად და ერთნაირად ღრმად. თუ მასში დამაჯერებლად არის ნათქვამი მოკავშირე რესპუბლიკების უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, საკმაოდ მკაფიოდ არის აღნიშნული ჩრდილოეთის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ხალხებისა და სხვა მცირერიცხოვანი ხალხების უფლებათა გაფართოება, ეს არ შეგვიძლია ვთქვათ ავტონომიური ერთეულების თაობაზე.

პროექტში, ჩემი აზრით, აღნიშნა ორატორმა, საკმაოდ ღრმად არ არის წარმოჩენილი ფედერალიზმისა და ეროვნული ავტონომიების თანამედროვე პრობლემები, არ არის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების განსაზღვრის მეცნიერულად დასაბუთებული კრიტერიუმი, გაუაზრებელია მოცემულ ეტაპზე და პერსპექტივაში მათი განვითარების დიალექტიკა.

საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე ვლადიმერ ილიას ძე ლენინი იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი ერი და ხალხი დაადგა სოციალისტური განვითარების გზას კაპიტალისტური ფორმაციის გვერდის ავლით და ეკონომიკური თუ პოლიტიკური კონსოლიდაციის სხვადასხვა დონეზე ყოფნის პირობებში, სწორად განსაზღვრავდა ავტონომიების სტატუსს როგორც გათვალისწინებულს ადგილობრივი და ეროვნული საკითხების გადასაწყვეტად, ანუ მას მხედველობაში ჰქონდა არასრული თვითგამორკვევა და არასრული სახელმწიფო სუვერენიტეტი.

ამჟამად სიტუაცია ძირფესვიანად შეიცვალა. ბევრი დღევანდელი ავტონომიური რესპუბლიკა გასცდა **ავტონომიის გაგების ფარგლებს იმ სახით, როგორც ისინი იქმნებოდნენ,** და ახლა ისინი წყვეტენ არა მარტო ადგილობრივ და ეროვნულ საკითხებს, არამედ, მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად, საერთო-საკავშირო ამოცანებს და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შრომის საკავშირო დანაწილებაში.

ორატორის აზრით, პრინციპული დაბრკოლებები არ არსებობს იმისათვის, რომ დაისვას ავტონომიური რესპუბლიკების მოკავშირე რესპუბლიკებად გარდაქმნის საკითხი. მაგრამ მოცემულ ეტაპზე პოლიტიკური სიტუაციისა და ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის გათვალისწინებით, ალბათ, უფრო მიზანშეწონილია ავტონომიათა უფლებების ისეთი გაფართოების საკითხი, როცა მათ ექნებოდათ თავიანთ ტერიტორიაზე განკარგულების ნამდვილი უფლება. სხვაგვარად რომ ითქვას, ავტონომიური რესპუბლიკების უფლებები მაქსიმალურად უნდა დაუახლოვდეს მოკავშირე რესპუბლიკების უფლებებს.

რა თქმა უნდა, აქ უმნიშვნელოვანესი საკითხია, ხაზი გაუსვა ი. ნ. პროკოპიევმა, მიწის, მისი წიაღისეულის, ბუნებრივი რესურსების ფლობა და განკარგვა. ეს განსაკუთრებით აუცილებელია იმ რესპუბლიკებისათვის, სადაც ყოველივე ეს შეადგენს სიმდიდრის ძირითად წყაროს დღეს და ხანგრძლივ პერსპექტივაშიც. სწორედ ასეთია იაკუტიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

მან მხარი დაუჭირა დებულებას იმის თაობაზე, რომ მოკავშირე რესპუბლიკას უნდა ჰქონდეს მიწის, მისი წიაღისეულის ფლობის და განკარგვის უფლება. მაგრამ ავტონომიური რესპუბლიკების, მეტადრე ნედლეულით მდიდარი რესპუბლიკების უფლებათა რეალური გაფართოებისათვის, მისი აზრით, საჭიროა უფრო შორს წასვლა და მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, მეტადრე ეს ეხება რუსეთის ფედერაციას, იმის უფლების მიცემა, რომ გარკვეული პირობებით და გარკვეული ვადით გადასცეს მიწისა და მისი წიაღისეულის ფლობისა და განკარგვის უფლება ზოგიერთ ავტონომიურ რესპუბლიკას, ამ შემთხვევაში საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურმა სამინისტროებმა და უწყებებმა თავიანთი ურთიერთობა მიწით, წიაღისეულით, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაში ავტონომიურ რესპუბლიკებთან უნდა ააგონ სახელშეკრულებო, იჯარულ საფუძველზე ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში შესაბამისი გადარიცხვებით. ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს უნდა ჰქონდეთ უფლება არა მარტო გააპროტესტონ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის მართვის ორგანოების აქტები, როგორც ეს ნათქვამია პლატფორმის პროექტში, არამედ შეაჩერონ საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების მოქმედება და გააპროტესტონ (შეუჩერებლად) სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოების აქტები იმ შემთხვევაში, თუ ისინი ეწინააღმდეგება ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას, ბუნების დაცვის ინტერესებს და ავტონომიური ერთეულის სხვა საარსებო ინტერესებს. ამჟამად იაკუტიის ასსრ ამუშავებს თვითმმართველობასა და თვითდაფინანსებაზე გადასვლის კონცეფციასა და დამასაბუთებელ ეკონომიკურ გაანგარიშებებს. ფასების, წარმოებული ეროვნული შემოსავლის განაწილება-გადანაწილების მოქმედი სისტემის პირობებში იაკუტიის ასს რესპუბლიკას არა აქვს საკმაო საკუთარი ფინანსური რესურსები, იგი დოტაციური, არაკრედიტუნარიანია...

იაკუტიას ქვეყანაში ერთ-ერთი ბოლო ადგილი უკავია როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ძირითადი მაჩვენებლებით. ეს მაჩვენებლები განსაკუთრებით დაბალია სოფლად, სადაც უპირატესად იაკუტები და ჩრდილოეთის ხალხები ცხოვრობენ. ამიტომ ეს საკითხი პოლიტიკურ ელფერსაც იძენს.

ასეთი მდგომარეობა აიხსნება რესპუბლიკის ეკონომიკის ცალმხრივად ჩამოყალიბებული სტრუქტურით, სამთომომპოვებელი, კერძოდ, ალმას და ოქრომომპოვებელი დარგების ჰიპერტროფირებული განვითარებით, აგრეთვე იმით, რომ წარმოებული ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი რჩება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იმ დარგებში, რომლებიც ამუშავებენ ან იყენებენ ალმასს, ოქროსა და ბეწვეულს, ან პირდაპირ შედის საკავშირო ბიუჯეტში, მათ შორის სავალუტო რესურსების სახით.

ჩვენ მიგვაჩნია, განაცხადა შემდეგ ორატორმა, რომ სხვებთან ერთად უთუოდ უნდა განხორციელდეს, მაგალითად, შემდეგი ღონისძიებები. კერძოდ, გადაეცეს რესპუბლიკას იაკუტიის ფარგლებს გარეთ არა მარტო ბეწვეულის პროდუქციის, არამედ იაკუტური ალმასისა და ოქროსაგან დამზადებული საიუველირო ნაწარმის რეალიზაციით მიღებული ბრუნვის გადასახადის ნაწილი. აგრეთვე გადაეცეს რესპუბლიკას მის ტერიტორიაზე მოპოვებული ნედლეულისაგან წარმოებული და ბრუნვის გადასახადით დაუბეგრავი პროდუქციის რეალიზაციითა და გამოყენებით მიღებული მოგების ნაწილი, ნება დაერთოს რესპუბლიკას სახელმწიფო შეკვეთის გადაჭარბებით მიღებული პროდუქცია სახელშეკრულებო ფასებით გაასაღოს საშინაო და საგარეო ბაზრებზე, კერძოდ, ეს ეხება ნავთობსა და ქვანახშირს. მან წინადადება წამოაყენა, რომ გაფართოვდეს რესპუბლიკის უფლებები ერთობლივი საწარმოების შექმნის, სავაჭრო გარიგებათა გაფორმების, რეგისტრაციისა და ლიცენზირების განხორციელების სფეროში და შეიქმნას სავალუტო ფონდი საერთო-საკავშირო სავალუტო ფონდში იაკუტიის ასს რესპუბლიკის შენატანის მოცულობიდან ნორმატიული გადარიცხვების ხარჯზე. ამასთან, როგორც ჩანს, ეკონომიკური ეფექტი მსოფლიო ფასებით უნდა ფასდებოდეს.

სკკპ პლატფორმა, თქვა შემდეგ ი. ნ. პროკოპიევმა, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს ჩრდილოეთის ხალხების მდგომარეობას. და ეს ჩრდილოელებს უნერგავს ხვალინდელი დღის რწმენას, აღუძრავს მათ ნდობასა და პატივისცემას პარტიული დოკუმენტისადმი. იაკუტიის კომუნისტები და მშრომელები კმაყოფილებას განიცდიან იმის გამო, რომ მათი ძირითადი წინადადებები ჩრდილოეთის ხალხების პრობლემის გადაჭრის თაობაზე გათვალისწინებული და ასახულია სკკპ პლატფორმაში. ეს არის ქვეყნისა და რესპუბლიკების უმაღლეს ორგანოებში მცირერიცხოვანი ხალხების წარმომადგენელთა არჩევის მექანიზმის შექმნაც, ისეთი ასოციაციის ჩამოყალიბებაც, რომელიც წარმოადგენდა მათ ინტერესებს ყველა დონეზე, ეროვნული რაიონების ორგანიზაცია. კერძოდ, რესპუბლიკაში უკვე შეიქმნა პირველი ასეთი რაიონი — ევენობიტანტაის. გათვალისწინებულია წინადადებები რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოსთან ჩრდილოეთის ხალხების სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული განვითარების საკითხების სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ, აგრეთვე ენების რეალური თანასწორობის უზრუნველყოფა.

განსაკუთრებით უჭერენ მხარს დებულებას იმის შესახებ, რომ „საჭიროა მხოლოდდამხოლოდ ამ ტერიტორიების სახალხო დეპუტატთა საბჭოებს მიენიჭოთ მათი სამეურნეო ათვისების უფლება".

დღეს იაკუტიაში, აღნიშნა ორატორმა, დაჟინებით ისმება როგორც იაკუტური, ისე რუსული ენების სახელმწიფო ენებად ცნობის საკითხი. ამასთან, ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მხარს მიხეილ სერგის ძის მოხსენებაში გამოთქმულ თეზისს, რომ რუსულ ენას მიენიჭოს საერთო-სახელმწიფო ენის სტატუსი. ასეთი ნაბიჯების გადადგმისას, ეტყობა, საჭიროა განვახორციელოთ ღონისძიებები, რომლებიც ყოველმხრივ შეუწყობდნენ ხელს სხვა ენების განვითარებას და აღმოფხვრიდნენ იმ ადამიანთა უფლებების მორალური შელახვის შემქმნელ პირობებს, ვინც არ იცის ან სუსტად იცის ესა თუ ის სახელმწიფო ენა. უნდა მივიღოთ კანონი სსრ კავშირის ხალხთა ენების შესახებ, სადაც კანონმდებლობით იქნება განსაზღვრული ყველა ენის განვითარების თავისუფლება, მათი თანასწორუფლებიანობა და ნებაყოფლობითობა შესწავლისას.

იყო დრო, როცა 'ეროვნული თვითშეგნების გამოვლინება ხშირად ნაციონალიზმად აღიქმებოდა. ეროვნული თვითშეგნების ობიექტური ზრდა პროგრესული პროცესია. ამასთან ერთად არსებობს იმის საშიშროება, რომ ამ ზრდას შეიძლება ახლდეს ეროვნული ქედმაღლობისა და ყოყოჩინობის გამოვლინებანი, ეროვნული გრძნობის მტკივნეული გამწვავება, ეს, როგორც წესი, ვლინდება ყოველდღიური ცნობიერების დონეზე, მეტადრე ახალგაზრდობაში, რაც მოხდა კიდეც სამ წელიწადზე მეტი ხნის წინ ქალაქ იაკუტსკში, რაზეც პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ ოპერატიული რეაგირება მოახდინა დადგენილებით „ქალაქ იაკუტსკის ახალგაზრდობაში ზოგიერთი ნეგატიური გამოვლინების შესახებ".

დადგენილება მიზნად გვისახავდა რესპუბლიკის მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის შემდგომ სრულყოფას. ეს ამოცანა ყოველთვის იდგა, დგას და იდგება საოლქო პარტიული ორგანიზაციის წინაშე. პარტიის საოლქო კომიტეტმა შეიმუშავა მოქმედების პროგრამა და ღონისძიებათა სისტემა, რომლებიც ხორციელდება და რომლებსაც გარკვეული დადებითი ძვრები მოჰყვა. ამასთან ერთად, თქვა დასასრულ ი. ნ. პროკოპიევმა, რესპუბლიკის კომუნისტები, მისი მრავალეროვანი მოსახლეობა არაერთხელ აყენებდნენ და აყენებენ იმ მოვლენათა სამართლიანი შეფასების საკითხს, რომლებშიც მონაწილეობდა ახალგაზრდობის, უპირატესად უწლოვანი ახალგაზრდობის მცირერიცხოვანი ჯგუფი. ამ ამბებში არ მონაწილეობდნენ არც მშრომელები, არც კომუნისტები, არც ინტელიგენცია და არც ვეტერანები. ეს ამბები არ ასახავენ მორალურ-პოლიტიკურ ვითარებას მთლიანად რესპუბლიკაში, რომლის მკვიდრი მოსახლეობა ისტორიულად მეგობრობის ურთიერთობით არის დაკავშირებული რუს ხალხთან სამნახევარ საუკუნეზე მეტი დროის მანძილზე. სამწუხაროდ, ამის არცთუ ძალიან სწორი შეფასება, განსაკუთრებით ქვეყნის მთელ რიგ რეგიონებში შემდგომ მომხდარი ამბების ფონზე, გაისმა მოხსენებაში პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმზე, საკავშირო ალკკ XX ყრილობაზე, სადაც მომხდარი ამბები მთელ იაკუტიას მიეწერებოდა. ამის კვალდაკვალ ცენტრალური გამოცემების ერთაშორისი ურთიერთობის თემისადმი მიძღვნილ ბევრ პუბლიკაციაში გამეორდა ეს შეფასება, რომელიც პროტესტის გრძნობას აღუძრავს იაკუტიის მცხოვრებთა უმრავლესობას, რომლებმაც იციან საქმის არსი.

შემდეგ ავტორმა მოიყვანა ზოგიერთი ცენტრალური გამოცემის ფურცლებზე იაკუტსკის ამბების, მისი აზრით, მცდარი გააზრების მაგალითები. მან პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიმართა თხოვნით დაუბრუნდეს იმის შეფასებას, რაც ქალაქ იაკუტსკში მოხდა 1986 წელს. ეს ხელს შეუწყობს ერთაშორისი ურთიერთობის ჰარმონიზაციის საქმეს.

ცენტრალური კომიტეტის დღევანდელ პლენუმზე გაკეთებული მოხსენება და ცენტრალური კომიტეტის განცხადება „საბჭოთა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში მდგომარეობის შესახებ", თქვა ორატორმა, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ჩვენ, კომუნისტებს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გვეკისრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთიანობისა და ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს, საბჭოთა ადამიანების ბედ-იღბლისათვის. ყველა ჩვენი საქმე და ზრახვა ამ მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს **რ. ნ. ნიშანოვს.** სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახლანდელ პლენუმს, თქვა მან, ყველგან განსაკუთრებული მოუთმენლობით ელოდნენ. მასზე ძალიან დიდ იმედებს ამყარებენ. და ეს გასაგებიცაა, რადგან ვითარება ფრიად საგანგაშოა. ეროვნული საკითხი დღეს ისე გამწვავდა, რომ მის სწორ და დროულ გადაწყვეტაზე დამოკიდებულია გარდაქმნის ბედი. ეს სწორად ითქვა ამხანაგ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის მოხსენებაშიც და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმის პროექტშიც — „თანამედროვე პირობებში პარტიის ეროვნული პოლიტიკა". მრავალი ათწლეულის მანძილზე პირველად საერთო-პარტიულად მასშტაბით დეტალურად და კომპლექსურად განიხილება დაგროვილი პრობლემები, კრიტიკული და ობიექტური შეფასება ეძლევა საკითხის მდგომარეობას, და ახლებურად წყდება იგი. ლაპარაკია პარტიის ეროვნული პოლიტიკის არა სრულყოფაზე, არა კორექტირებაზე, არამედ მის ძირეულ განახლებაზე.

რა თქმა უნდა, ისევე როგორც ყოველი პროექტი, პლატფორმასაც სჭირდება შემდგომი დახვეწა, ცალკეული პოზიციებისა და ფორმულირებათა დაზუსტება, მაგრამ მთავარი, ჩემი აზრით, ის არის, რომ გვაქვს დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც ობიექტურად ასახავს ქვეყანაში ეროვნული ურთიერთობის მდგომარეობას, რომელიც შეიცავს ახალ იდეებსა და დებულებებს ჩვენი ფედერაციის სრულყოფის გზების შესახებ. მინდა გამოვთქვა რამდენიმე მოსაზრება.

პირველი. გარდაქმნამ სრულიად ახალი პირობები შეუქმნა გაზრდილი ეროვნული თვითშეგნების გამოვლინებას, თქვა ორატორმა. ეს შესაძლებელი გახდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პოლიტიკური კურსის წყალობით. ყოველივე ამას შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ. მაგრამ თვალი არ უნდა დავხუჭოთ იმაზე, რომ თვითშეგნების ზრდასთან ერთად ჩვენ წავაწყდით ხალხთა ბედისათვის საშიშ ტენდენციებსა და მოვლენებს, რომლებიც საზოგადოების გათიშვის, სახელმწიფოს საფუძვლების შერყევის, გარდაქმნისათვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების საფრთხეს ქმნიან.

კატასტროფულ მასშტაბს იღებს ეროვნებათშორისი კონფლიქტები, რომლებიც ხშირად უმახინჯესი ფორმებით ვლინდება. სხვადასხვა ადგილებიდან მოდის ცნობები ვანდალიზმის ახალი აქტების, საარსებო მნიშვნელობის არტერიების ბლოკადის, ძალმომრეობის, ცეცხლის წაკიდების, მკვლელობებისა და სხვა მხეცურ გამოვლინებათა შესახებ. მშვიდობიან დროს ათიათასობით საბჭოთა ადამიანი ლტოლვილებად გადაიქცა. ყოველივე ამაში თავს იჩენს, ერთი მხრივ, ეროვნული ეგოიზმი და ზოგიერთი ხალხის შეუწყნარებლობა სხვა ხალხების წარმომადგენელთა მიმართ, საერთო კულტურის დაბალი დონე და ზნეობრიობის დაცემა, ის, რომ არ წარმოებს ყოველდღიური მიზანმიმართული აღმზრდელობითი მუშაობა, ხოლო მეორე მხრივ კი არასრულყოფილება და არცკი არსებობა კანონისა, რომელიც უკიდურეს პასუხისმგებლობას დააკისრებდა ეროვნულ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულისათვის და ეროვნებათშორისი შუღლის გაღვივებისათვის.

რ. ნ. ნიშანოვმა თქვა, რომ უნდა დაჩქარდეს წინადადებათა შემუშავება სისხლის სამართლის კანონის მთელ რიგ მუხლებში ცვლილებათა შეტანის თაობაზე, რომლებიც გაითვალისწინებს აუცილებელ სასჯელს ეროვნულ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულობებისათვის, ხოლო სამართალდამცავმა ორგანოებმა ძირეულად უნდა გააუმჯობესონ და გაამკაცრონ დამნაშავეთა მიმართ არსებული კანონების გამოყენების პრაქტიკა.

მოხსენებაში, თქვა მან, ძალიან სწორად დგას საკითხი იმ ხალხთა ყველა უფლების კანონმდებლობით უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც თავიანთ ეროვნულტერიტორიულ ფორმირებათა ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ ან არა აქვთ ასეთი. დღეს ეს ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა, რომელიც შეეხება ქვეყნის 60 მილიონზე მეტი მოსახლეობის ინტერესებს. უმაღლესი საბჭოს კომიტეტები და კომისიები ახლა მუშაობენ ასეთ კანონპროექტზე, აგრეთვე მოქალაქეობის შესახებ კანონის პროექტზე. ჩვენი კანონები უნდა ამკვიდრებდნენ ყველა ხალხის თანასწორობას, და უწინარესად იცავდნენ ადამიანის უფლებებს.

ალბათ, სწორი იქნება, თუ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოსთხოვს პარტიულ ორგანოებს, მთელ ხელმძღვანელ კადრებს პასუხისმგებლობის ამაღლებას ეროვნებათშორისი საფუძველზე მომხდარი ამბებისათვის. მე, მაგალითად, არ ვიხსენი მორალურ პასუხისმგებლობას ფერღანის ამბებისადმი. ეს სერიოზული გაკვეთილი იყო.

მეორე. რკპ (ბ) XII ყრილობის რეზოლუციაში ხაზგასმული იყო, რომ „ეროვნული საკითხის სწორად გადაწყვეტის გასაღების პოვნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის მთლიანად და საბოლოოდ გადაწყვეტას, ამ გადაწყვეტილების ამოწურვას მისი კონკრეტულ-პრაქტიკული განხორციელებით..." საკითხის არსი ახლა სწორედ იმ იდეებისა და დებულებების „კონკრეტულ-პრაქტიკული განხორციელებაა", რომლებსაც შეიცავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმის პროექტი, იმ მოთხოვნებისა, რომლებსაც დღეს აყენებს თავად ცხოვრება.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს და მის ეროვნებათა საბჭოს, კერძოდ, თავიანთ ამოცანად მიაჩნიათ ის, რომ პოლიტიკური დებულებანი გადათარგმნონ საკანონმდებლო აქტების ენაზე, განამტკიცონ და განავითარონ ეროვნულ ურთიერთობათა რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები. საჭიროა სერიოზულად მოვკიდოთ ხელი სსრ კავშირის, როგორც თანასწორუფლებიან და სუვერენულ ერთა და ეროვნებათა ფედერაციის შესახებ ლენინური იდეების მთელი სისრულით განხორციელებას. საქმე ეხება უწინარესად რესპუბლიკების, ჩვენი დიადი სამშობლოს ნებისმიერ ეროვნულ ფორმირებათა სუვერენული უფლებების დაცვის იურიდიული მექანიზმის შექმნას. სსრ კავშირი — ეს, რა თქმა უნდა, სახელმწიფო წყობილების გაქვავებული მოდელი არ არის, და მისი სრულყოფის საკითხების გადაწყვეტა აუცილებელია. მაგრამ ამავე დროს მინდა პირდაპირ გითხრათ, რომ შექმნილი სახელმწიფო წყობილების დამსხვრევა, ვთქვათ, ჩვენი ფედერაციის გადაქცევა კონფედერაციად ან საზღვრების გადაკეთება, როგორც ამას ზოგიერთი ამხანაგი გვთავაზობს, ჩვენ არ შეგვიძლია. ეს ნიშნავს შევარყიოთ ჩვენი კავშირის საფუძვლები, ჩვენი ისტორიული კავშირურთიერთობანი, ჩვენი ერთიანობა.

პასუხისმგებლობის მთელი სისრულით ჩვენ ყველამ უნდა შევიგნოთ, რომ არ შეიძლება დავადგეთ შექმნილის ნგრევის გზას, უარი ვთქვათ იმაზე, რაც უკვე მოგვცა ფედერაციამ და რაც შეიძლება მნიშვნელოვნად განახლდეს და გამრავლდეს მის ფარგლებში. სხვაგვარი მიდგომა დესტრუქციული და დამღუპველი გზაა. ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ საკითხზე მიხეილ სერგის ძის მოხსენების მკაფიო დებულებებს.

სრულვყოთ ფედერაცია — აი, რა არის დღის უმთავრესი. ახლა მრავალ წინადადებას გამოთქვამენ ავტონომიების, მათი სტატუსის შესახებ და სხვ. სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში შემოდის წინადადებანი ზოგიერთი ავტონომიური რესპუბლიკის მოკავშირე რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ. შემოაქვთ ასეთი წინადადებანიც — უარი ვთქვათ მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებად დაყოფაზე. სვამენ საკითხს ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქების, ეროვნული ოკრუგების უფლებათა არსებითი გაფართოების თაობაზე და სხვ.

თავისთავად იგულისხმება, რომ შემოტანილი წინადადებანი ყურადღების ღირსია, მაგრამ ანალიზსა და უაღრესად სერიოზულ დამუშავებას მოითხოვს. აქ სიჩქარე არ შეიძლება, განაგრძო ორატორმა.

მან მხარი დაუჭირა წინადადებებს, ჩრდილოეთის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის ეროვნებათა ასოციაციის, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოსთან, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან სახელმწიფო ორგანოს შექმნის შესახებ, რომლებიც ეროვნული რესპუბლიკების, ოლქების, ოკრუგების, რაიონების განვითარებაზე და საერთოდ ეროვნებათშორისი ურთიერთობის განხილვაზე იმუშავებდნენ. ჩვენი ფედერაციის სრულყოფა, თქვა ორატორმა, მოითხოვს სსრ კავშირის კონსტიტუციის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების შეცვლას, ახალი კანონების, არაორდინარული გადაწყვეტილებების მიღებას. ეს მუშაობა დაიწყო, და, რა თქმა უნდა, გვინდა, რომ იგი უფრო აქტიურად მიმდინარეობდეს.

მესამე: ჩემი აზრით, ყველას კმაყოფილებას იწვევს ის ფაქტი, რომ რუსეთის ფედერაციის პრობლემებს მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმის პროექტის მთელი კარი.

საჭირო არ არის იმაზე ლაპარაკი, თუ რას ნიშნავს რუსეთი კავშირისათვის, მისი როლი ჩვენი სახელმწიფოს ისტორიასა და მისი ხალხების ბედში. რუსმა ხალხმა ყოველივე იმით, რაც გააკეთა, დაიმსახურა ჩვენი მადლიერება და მადლობა. და უზნეობა იქნება სიკეთის წილ ბოროტება, რუსში ვხედავდეთ მხოლოდ „მიგრანტს", „ოკუპანტსა" თუ „სხვა ტომისას". რატომ წარმოიქმნება ასეთი ანტირუსული განწყობილებანი? ჩვენ მივიღეთ ე. ე. ფრანცევას წერილი ლენინგრადიდან. იგი გვწერს: „ვერავინ ვერ დამდებს ბრალად ველიკორუსულ შოვინიზმს, მთლად რუსი არა ვარ, ჩემი წინაპრები ავსტრიელები იყვნენ. უპარტიო და დიდად მორწმუნე ადამიანი ვარ. აღმაშფოთებს ის, რასაც ცხოვრებაში ვაკვირდები. მოდად იქცა რუსეთის და რუსების დაგესლვა. რუსეთი მუდამ იყო საბჭოთა კავშირის „ხერხემალი". და სანამ იგი ძლიერი იყო, ძლიერი იყო კავშირიც..." ეს სულის კივილია, ამხანაგებო.

ჩვენ ერთმანეთს პატივს უნდა ვცემდეთ და ვაფასებდეთ, რა ეროვნებასაც უნდა ვეკუთვნოდეთ, და ვიცავდეთ ყოველ ხალხს დაუმსახურებელი შეურაცხყოფისაგან.

მეოთხე. ჩვენ სამართლიანად ვამბობთ, რომ ეროვნებათშორისი ურთიერთობის ძირითადი „კვანძები", რომელთა გახსნა დღეს გვიწევს, წარსულშია „შეკრული". ერთ-ერთი ასეთი „მაგარი კვანძია" დაუსაბუთებლად რეპრესირებულ ხალხთა ბედი. გავიდა ათწლეულები, მაგრამ სამართლიანობა მათ მიმართ არ აღდგენილა. ცდებს გადაეწყვიტათ ყირიმელ თათართა ავტონომიის საკითხები უზბეკეთში, საბჭოთა გერმანელებისა — ყაზახეთში, წარმატება არა ჰქონია. აქ ამხანაგმა ნაზარბაევმა ამაზე ილაპარაკა. რატომ არ ჰქონდათ მათ წარმატება? იმიტომ, რომ რესპუბლიკის ლიდერებს უნდოდათ, ხალხებს კი არა. ამიტომაც წარმატება არა ჰქონია. წლები კი გადის, და ამ პრობლემების გადაჭრა სულ უფრო რთულდება.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ შექმნა საბჭოთა გერმანელების, მესხეთელი თურქების, ყირიმელი თათრების პრობლემათა კომისიები. კომისიები რთულ პირობებში მუშაობენ, და უახლოეს ხანში თავიანთი წინადადებანი განსახილველად უნდა წარმოუდგინონ ეროვნებათა საბჭოს. შემდეგ ორატორი შეეხო საკითხებს, რომლებიც აფერხებენ ამ პრობლემების გადაჭრას.

იმაში, რომ ვერავითარი კომისია ვერაფერს იზამს, თუ მხარეთა კეთილი ნება არ იქნება, დავრწმუნდით მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის მრავალი კომისიის მაგალითით. რაც შეეხება საბჭოთა გერმანელებს, ყირიმელ თათრებს, მესხეთელ თურქებს, ისინი მტკიცედ, შეუპოვრად იღწვიან იმ უფლებისათვის, რომ იცხოვრონ იქ, საიდანაც არაადამიანურად გადაასახლეს ისინი. დასაბუთებულია თუ არა ეს მისწრაფება? დიახ, რა თქმა უნდა, არის სიძნელენი მის რეალიზაციაში? რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის რეალიები, რომლებიც მოხდა ყირიმში, ვოლგისპირეთში, მესხეთში განვლილი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე. მაგრამ ადგილებზე კონკრეტული სიტუაციის უახლოესი გაცნობა გვიჩვენებს, რომ პრობლემის გადაჭრას აბრკოლებენ ობიექტური ფაქტორებიც და ზოგიერთი ცრურწმენაც, ის, რომ ზოგიერთ ცალკეულ ხელმძღვანელ კადრებსაც არ სურთ „იჯახირონ" ამ ძნელ საკითხზე, აგრეთვე ისიც, რომ არ წარმოებს ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობის ფართო მასებს შორის.

უნდა მივიღოთ ოფიციალური საკანონმდებლო აქტი ყველა დაუსაბუთებლად რეპრესირებული ხალხის სრული პოლიტიკური რეაბილიტაციის შესახებ. და კარგი იქნება, თუ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი ამ საკითხზე შეიტანს წინადადებას სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე.

აქ საჭიროა მკაფიო პოლიტიკური გეზი. და საჭიროა, ვფიქრობ, შეიქმნას მშობლიურ ადგილებში მსურველთა თანდათან პირობების შექმნის კვალობაზე, დაბრუნების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა, ისე, რომ არ შევლახოთ ახლა იქ მცხოვრებ ადამიანთა ინტერესები. ასეთი შესაძლებლობანი კი ყველგან არის. და დღეს პლენუმზე ეს პირდაპირ და მკაფიოდ უნდა ითქვას. ამ სახელმწიფო პროგრამის შექმნასა და განხორციელებაში კი შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საკავშირო ორგანოებმაც და იმ რესპუბლიკების ორგანოებმაც, საიდანაც ადამიანები იხიზნებიან, და იმ რესპუბლიკების ორგანოებმაც, სადაც ისინი სახლდებიან.

დღეს, თქვა შემდეგ ამხ. ნიშანოვმა, ენის პრობლემამ მწვავე პოლიტიკური ელერადობა შეიძინა. რესპუბლიკების უმრავლესობამ ეროვნული ენები სახელმწიფო ენებად გამოაცხადა, ზოგიერთში ეს მზადდება. ამ ტრიბუნიდან მინდა ვთქვა, რომ ამ კანონების მიღების დროს ზოგან რაღაც დისკრიმინაციული მდგომარეობა ექმნებათ სხვა ენებს, კერძოდ, რუსულ ენას. ამას ვერ დავუშვებთ. რუსული ენა ეროვნებათშორისი ურთიერთობის ენაა. ახლა ჩვენი კომისიები მუშაობენ ენების შესახებ საერთო-სახელმწიფო კანონის პროექტზე, და ვფიქრობ, რომ რუსული ენა როგორც ერთაშორისი ურთიერთობის ენა, როგორც საერთო-სახელმწიფო ენა თავის ღირსეულ ადგილს დაიკავებს ამ კანონპროექტში, რომელიც მთელი ხალხის განსახილველად იქნება წარმოდგენილი.

მხარი დაუჭირა რა წინადადებას მომავალი წლის ოქტომბერში სკკპ მორიგი ყრილობის მოწვევის შესახებ, ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს არის ერთა კონსოლიდაციის მთავარი ძალა ეროვნული პოლიტიკის გატარებასა და სრულყოფაში. მხოლოდ მას შეუძლია უზრუნველყოს ჩვენი განვითარების სტაბილურობა, მთლიანობა და მემკვიდრეობითობა.

19 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის საღამოს სხდომაზე გაგრძელდა კამათი მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების გამო. მესმის, თქვა გაზეთ „პრავდის" მთავარმა რედაქტორმა **ვ. გ. აფანასიევმა,** რომ ჩვენი სპეციფიკური თემა — ეროვნული ურთიერთობის თემა ისე წარმომიდგენია, რომ ამ თემის განხილვაც და გადაწყვეტაც შეიძლება და კიდევაც უნდა მოხდეს სხვა ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ, სულიერ თემებთან კომპლექსში.

მგონია, რომ გამოსვლების ნაწილი (ყველაზე ამას ვერ ვიტყვი) როგორღაც ვიწროდ შეეხო ამ თემას და თითქმის ძალიან ჰგავდა ერთმანეთს. ამიტომ თავს ნებას მივცემ დავუბრუნდე პარტიის ყრილობას, რომელსაც ველით მომავალი წლის ოქტომბერში.

მგონია, რომ ყრილობის თარიღი კარგად არის არჩეული, თუნდაც იმიტომ, რომ მრავალი ათწლეულის მანძილზე ეს, უნდა ითქვას, იქნება პირველი ყრილობა, რომელიც ხუთწლედს უძღვის. წინათ პირიქით იყო — ჯერ ხუთწლედი იწყებოდა, შემდეგ ყრილობა ამტკიცებდა მას. ვადები, რა თქმა უნდა, შემჭიდროებულია, და მეტად ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ. მით უმეტეს, რომ კიდევ ორი კამპანია უძღვის წინ ყრილობას. ეს არის პარტიული ორგანოების არჩევნები, ეროვნული რესპუბლიკების უზენაესი საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. ჩემი აზრით, არის ერთგვარი შეშფოთება, არის ერთგვარი დაბნეულობა და არის რაღაც შიში ამ არჩევნების წინ. ამხანაგები შიშობენ, ვაითუ მეტი დავკარგოთ, ვიდრე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებშიო. ჩვენ უნდა დავძლიოთ ეს ურწმუნობა, ეს შიში, და ამისათვის ჩვენ ერთად უნდა ვიმუშაოთ — პარტიამ და პრესამ.

რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ არჩევნებმა წარმატებით ჩაიაროს. ასე მგონია, რომ უწინარეს ყოვლისა რაც შეიძლება უფრო ენერგიულად, რაც შეიძლება უფრო მეტად უნდა გადავჭრათ კონკრეტული პრობლემები, რომლებიც ადამიანებს ადგილებზე აწუხებთ. ეს ჩვენი ყველაზე მტკივნეული ადგილია, ხშირად ვერ ვჭრით ამ პრობლემებს. და ჩვენი ამომრჩევლები იძულებული არიან მიმართონ ცენტრს, უმაღლეს საბჭოს, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მინისტრთა საბჭოს, პრესის ცენტრალურ ორგანოებს. ეს საქმის ერთი მხარეა.

მეორე. ჩვენ ყოველმხრივ მომზადებული უნდა შევხვდეთ არჩევნებს. ჩვენ კი ჯერ კიდევ ვზოზინებთ, რაშიც მარწმუნებს „პრავდის" ფოსტა. ეს ძნელი საქმე, რთული საქმეა. მაგრამ უმთავრესი, ვფიქრობ, აქ არის მუშაობა მასებთან, მუშაობა მასებში, არაფორმალთა ჩათვლით. გამოცდილებამ ცხადყო, რომ არაფორმალებთან შეიძლება ლაპარაკი, კამათი, მათი დამარცხება შეიძლება. თუ ჩვენ შევძლებთ ამით იდეოლოგიური ბრძოლების, დისკუსიების მოგებას, მაშინ წარმატების იმედი უნდა ვიქონიოთ. ამასთან, რა თქმა უნდა, არა მგონია, რომ კომუნისტები რესპუბლიკების საბჭოებსა და ადგილობრივ საბჭოებში პროცენტულად ცოტანი ან ნაკლები იქნებიან. ამაზე სულაც არ ვფიქრობ. მაგრამ ჩვენ ხომ შესანიშნავად ვიცით, აღნიშნა ორატორმა, რომ კომუნისტიც არის და კომუნისტიც.

არის კომუნისტთა უმრავლესობა, მტკიცე უმრავლესობა, რომლებიც ასევე მტკიცედ დგანან პარტიის პოზიციებზე, გარდაქმნის პოზიციებზე. ისინი მუშაობენ გარდაქმნისათვის. მათ შორის უნდა ვეძებოთ საუკეთესოთა შორის საუკეთესოები, წარმოვაჩინოთ ისინი. ჩვენ „პრავდაში" დავბეჭდეთ 70 ნარკვევი პირველი მდივნების შესახებ. უკვე გამოვიდა ამ წიგნის პირველი გამოცემა. ახლა მეორეს ვამზადებთ. მაგრამ არიან კონსერვატორებიც, არიან, არ შემეშინდება ამ სიტყვის თქმა, მესაბოტაჟეებიც, რომლებიც მოქმედებენ პრინციპით: რაც უფრო ცუდია — მით უკეთესი, თორემ რით უნდა აიხსნას ის მძიმე მდგომარეობა ბაზარზე, მთელ რიგ სხვა უბნებზე, რომლებსაც ახლა წავაწყდით.

არიან ექსტრემისტები, არიან ულტრაგარდამქმნელები, ზერადიკალები, პოპულისტები. თქვენ მათ იცნობთ, ისინი დილიდან საღამომდე ჩანან ტელევიზორების ეკრანებზე, გამოდიან რადიოთი, შეავსეს გაზეთების, ჟურნალების, წიგნის გვერდები. ამასთან ზოგიერთი მათგანი პარტიულ ბილეთებს ატარებს. ეს ჩემთვის, მაგალითად, სრულიად გაუგებარია. ეს როგორ? ანტიპარტიულ, ანტისაბჭოთა პოზიციებზე დგახარ და ჯიბით პარტიულ ბილეთს ატარებ. მაგალითებისათვის შორს არ წავალ. აიღეთ ჩემი მოგვარის გამოსვლა. სხვათა შორის, ზოგჯერ ეს საქმეს მიფუჭებს, იმიტომ, რომ ერთმანეთში ვეშლებით, მე კი არ მინდა, რომ ის მე ვეგონო ვინმეს. სულ ახლახან მან განაცხადა, რომ 70 წლის მანძილზე პარტია იქით არ მიგვიძღვის, სადაც საჭიროა, რომ უნდა დაიხუროს „პრავდა", რადგან საზოგადოების დეზინფორმაციას ახდენსო. რაღა უნდა თქვა ამის შემდეგ.

უნდა ვთქვა, რომ ზოგჯერ ვუთმობთ ჩვენს ოპონენტებს, ჩვენს იდეურ მოწინააღმდეგეებს. ერთ დათმობას მოსდევს მეორე, ზოგჯერ პრინციპული. ჩვენ, მაგალითად, კარგად არ ვიცით — მე მგონი, ამ კითხვებზე მთელი სიზუსტითა და გარკვეულად უნდა გაგვცეს პასუხი ყრილობამ — ვინ ვართ ჩვენ, როგორია ჩვენი წყობილება, სად ვცხოვრობთ? რით ვსულდგმულობთ? როგორია ჩვენი იდეალები? საით მივდივართ? ყრილობამ უნდა მოგვცეს 5 წლის პროგრამა, რეალისტური პროგრამა, მებრძოლი პროგრამა, ოპტიმისტური პროგრამა, თუ გნებავთ, იმისათვის, რომ ჩვენს ადამიანებს, ჩვენს კომუნისტებს, ჩვენს მშრომელებს გაუჩნდეთ მკაფიო რეალისტური პერსპექტივა.

ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, თქვა შემდეგ ორატორმა, საზღვარგარეთ ჩვენი კომუნისტი მეგობრების აზრიც, განწყობილება. რამეთუ ისინი ჩვენს საქმეებზე არა მარტო ჩვენი ოფიციალური განცხადებებით მსჯელობენ, არამედ პრესის იმ სხვადასხვა ორგანოებითაც, რომლებიც მსოფლიოში ვრცელდება.

მოგახსენებთ ჟურნალისტურ საქმეებზე. მოდურია, ძალზე მოდურია პრესის ლანძღვა. პრესის ბრალია თუ არა, მაინც მას ადანაშაულებენ. არა, ძვირფასო ამხანაგებო, პრესა ხომ არ არის რაღაც ამფორული, რაღაც ერთნაირად ერთგვაროვანი. არის „პრავდა", არის „მოსკოვსკიე ნოვოსტი", არის „სოვეტსკაია როსია", არის „ოგონიოკი". შემიძლია მოგიყვანოთ მთელი რიგი სხვა პარალელები. მოდით, უფრო კონკრეტულნი ვიყოთ ჩვენს კრიტიკაში, თორემ უბრალოდ გვწყინს. გვწყინს, იმიტომ რომ ერთ ტაფაში გვაქცევენ: იმათაც, ვინც ერთგულად ემსახურება პარტიისა და გარდაქმნის პოლიტიკას, და იმათაც, ვინც ცდილობს ძირი გამოუთხაროს ამ გარდაქმნას და ამა თუ იმ გზით თავს ასაღებს ზეგარდამქმნელად. ძალზე სასურველია, რომ პარტია, ცენტრალური კომიტეტი მხარს უჭერდნენ პრესას ცენტრშიც და ადგილებზეც.

ორატორის აზრით, თავის დროზე ჯეროვანი მხარდაჭერა ვერ პოვა „პრავდაში" გამოქვეყნებულმა სტატიებმა „სინდისის სამსჯავრო, ანუ ზოგიერთი რამ სომხეთის შესახებ", „საჯაროობის გაკვეთილები" და სხვები.

წინათ, მე მგონი, ცოტა სხვაგვარად, უკეთ იყო საქმე. იმავე „პრავდის", სხვა გაზეთების მთელი რიგი გამოსვლები აისახა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში. ახლა როგორღაც ხელი აიღეს ამ პრაქტიკაზე. თუმცა პრინციპული გამოსვლები, მაგალითად „პრავდაში" და სხვა გაზეთებში, არის და იქნება.

ორიოდ სიტყვა ქაღალდზე. ქაღალდი არის, მაგრამ ქაღალდი არ არის. ქაღალდი არ არის, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ხე-ტყე არ არის, ხე-ტყე არ მოაქვთ. თუმცა ასმილიონობით კუბური მეტრი ხე-ტყე გამოუზიდავია. მაგრამ გამოზიდეს ხე-ტყე, გააკეთეს ქაღალდი, არ არის ვაგონები, რომ გამოზიდონ ეს ქაღალდი. ვაგონები კი იმიტომ არ არის, რომ ათასობით, ათიათასობით ვაგონი გადმოუტვირთავი დგას. წრე შეიკრა. გამომცემლობა „პრავდაში", ხაზგასმით აღნიშნა ვ. გ. აფანასიევმა, ქაღალდის ორი-სამი დღის მარაგია, ზოგან კი ადგილებზე გაზეთები უკვე არ გამოდიოდა უქაღალდობის გამო. მეორე მხრივ კი, ჩვენთან გამოდის ასობით, ის კი არა და, ათასობით სხვადასხვა „არალეგალური" გამოცემა. თანაც კარგ ქაღალდზე. თანაც გაკეთებულია ფოტოაწყობით, რომელზეც ჯერ კიდევ მხოლოდ ვოცნებობთ. მაშასადამე, ქაღალდი გამოინახება, ტექნიკა გამოინახება ხოლმე. საიდან იღებენ მას?

შემდეგ ორატორმა აღძრა გაზეთის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საკითხი. „პრავდა", თქვა მან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანოა, მაგრამ ჩვენ შუა საუკუნეებში ვცხოვრობთ, ჩვენთან ცხელი ტყვიით აწყობაა. და ვერ გამოგვინახავს მილიონ-მილიონ-ნახევარი პარტიის ბეჭდვითი სიტყვის ცენტრალური ორგანოსათვის, რათა შევისყიდოთ ელექტრონული ან ფოტოაწყობის მანქანების თანამედროვე სისტემა.

დასასრულ ორატორი შეეხო ეგრეთ წოდებული ოქმის საკითხს. ჩვენ გვაქვს მკითხველთა მრავალი წერილი, თქვა მან, რომლებიც გვისაყვედურებენ, რომ ბევრ ოფიციალურ მასალას ვბეჭდავთ: დადგენილებებს, გადაწყვეტილებებს, მოხსენებებს, კომუნიკეებს, შეხვედრებსა და გამგზავრებებს, ჩამოსვლებს. ოქმი მოვალენი ვართ დავბეჭდოთ. „პრავდა", ვთქვათ, მოვალეა ბეჭდოს პარტიული ოქმი, აქ ჩვენ ვერაფერს გავაწყობთ და არავითარი პრეტენზიები არა გვაქვს. მაგრამ ხომ შეიძლება ოქმს თავისი ადგილი მივუჩინოთ. მთავრობის საბჭოთა ოქმისათვის არის „იზვესტია", მეორისათვის — არის სხვა გაზეთები. საქმე კიდევ ის გახლავთ, რომ ხშირად ვიგვიანებთ ამ საოქმო ცნობების გამო. და რახან ვიგვიანებთ, გაზეთს დროზე არ იღებს მკითხველი.

სიტყვა ეძლევა **ვ. ი. ვოროტნიკოვს,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს. გამოხატა რა თავისი დამოკიდებულება სკკპ პლატფორმის პროექტისადმი, მან აღნიშნა: ჩემი აზრით, დოკუმენტი მრავალპლანიანი, ღრმაშინაარსიანია. აქ შემოქმედებითად არის განვითარებული ლენინური კონცეფცია, ბუნებრივია, დღევანდელი დღის რეალური სიტუაციის გათვალისწინებით.

შემოთავაზებულია აწონ-დაწონილი, გააზრებული გადაწყვეტანი. უეჭველია, ეს დოკუმენტი შეიძლება ეროვნული ურთიერთობის დარგში პარტიის მუშაობის კარგი საფუძველი იყოს. დარწმუნებული ვარ, რომ პლატფორმა, რომელშიც ეროვნული პოლიტიკა სამართლიანად არის მიჩნეული გარდაქმნის პროცესის ორგანულ ნაწილად, სტიმულს აძლევს საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას ყველა მის უბანზე.

დღეს, როცა გარდაქმნა, ალბათ, ყველაზე მძიმე გამოცდას გადის, როცა მატულობს მასზე იერიშები მარჯვნიდანაც და მარცხნიდანაც, ჩვენ წინაშე დგას ამოცანა, დავიცვათ იგი, როგორც საბჭოთა საზოგადოების განვითარების ერთადერთი სწორი გზა. სიძნელეები, კრიზისული სიტუაციები იმიტომ როდი წარმოიშობა, რომ პარტია შეცდა სტრატეგიულ გაანგარიშებებში. იმის გადამწყვეტი მიზეზი, რომ გარდაქმნა ბუქსაობს, ჩვენი აზრით, ის არის, რომ მასების ფართო პოლიტიზაციის მიუხედავად ხალხის და, შეიძლება ითქვას, კომუნისტების შემოქმედებითმა აქტიურობამ და სოციალისტურმა შეგნებამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია იმ დონეს, რომელიც საჭიროა ნამდვილად რევოლუციური ცვლილებებისათვის.

ჩვენ ვხედავთ, რომ ეკონომიკურ რეფორმას, მეურნეობრიობის ახალ მეთოდებს მოსალოდნელი შედეგი არ მოაქვს. თავს იჩენს კუთხურობა, ვიწროდარგობრივი მიდგომები, ჯგუფური ეგოიზმის გამოვლინებანი მშრომელთა გარემოში, რომ აღარაფერი ვთქვათ ეროვნული კარჩაკეტილობისა და სეპარატიზმისადმი მისწრაფებაზე. მოსახლეობის ნაწილი მოხვდა ექსტრემისტული პოლიტიკური ლოზუნგების გავლენის ქვეშ, მეორე ნაწილი განწყობილია კონსერვატიულად და არ გრძნობს რეალურ ცვლილებებს ცხოვრების სოციალურ პირობებში.

რატომ ხდება ყოველივე ეს? ვფიქრობ, მნიშვნელოვანწილად იმიტომ, რომ ჩვენ, სწორად დავადექით რა დემოკრატიზაციისა და საჯაროობის გზას, რაღაცაში ეტყობა, ვაიდეალებდით ამ პროცესებს. სათანადო მნიშვნელობა არ მივანიჭეთ იმ გარემოებას, რომ ჯანსაღ ძალებთან, რომლებიც ჭარბობს საზოგადოებაში, დემოკრატიასთან ერთად თავიანთი მიზნების მისაღწევად ისარგებლეს იმათაც, ვინც არსებითად ილაშქრებს გარდაქმნის წინააღმდეგ.

ეს შეეხება ეკონომიკურ, ეროვნულ, პოლიტიკურ პრობლემებს. საჯაროობაც გახდა იარაღი არა მარტო იმათ ხელში, ვინც იცავს სახელმწიფოს ერთიანობას, არამედ იმათ ხელშიც, ვინც ინიღბება რა გარდაქმნის ლოზუნგებით, ილტვის მისი გათიშვისათვის. მასების პოლიტიზაცია სრულიადაც არ არის გაიგივებული პარტიის მხარდაჭერის გაძლიერებასთან, თავიანთ გავლენას აფართოებენ ანტისაზოგადოებრივი, ანტისოციალისტური და ნაციონალისტური ძალები.

თავის დროზე ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ამბობდა, რომ კოოპერაციის შემოღებისათვის საჭიროა მთელი კულტურული რევოლუცია და შეიმუშავა ასეთი რევოლუციის კონცეფცია. უეჭველია, რომ ის ცვლილებანი, რომლებსაც გარდაქმნა ისახავს მიზნად, მოითხოვს მშრომელთა არანაკლებ საფუძვლიან მომზადებას, არანაკლებ მკვეთრ ცვლილებებს საზოგადოებრივ შეგნებაში, პოლიტიკური აზროვნების ახალ თვისებას.

ბუნებრივია, ეს უნდა მიგვეღო მხედველობაში. თავი რომ არ მოვიტყუოთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი მუშაობა დროულად და საჭირო მასშტაბით არ გაგვიწევია.

ჩვენ, მართლაც, ჩავებით ბრძოლაში, შემდეგ კი დავიწყეთ გარკვევა, თუ რა გზებით უნდა ვიაროთ პროგრესის ამ მიჯნებისაკენ. ამას გვიკარნახებდა რეალური გარემოებანიც, რაც უნდა ვაღიაროთ. მაგრამ საეჭვოა შეიძლებოდეს იმის დასაბუთება, რომ შემდეგ, უგულებელვყავით რა ამკარა პოლიტიკური ლოგიკა, ზოგან დაიწყეს იდეოლოგიური საძირკვლის შერყევა, რომელსაც ეყრდნობა მთელი ჩვენი მრავალსახოვანი საზოგადოება.

ჩვენი სისუსტის მეორე მხარე, ჩემი აზრით, სერიოზული ხარვეზები კონკრეტულ ორგანიზატორულ მუშაობაში გარდაქმნის საკვანძო მიმართულებებზე. და აქ პრეტენზიები უნდა წავუყენოთ საკუთარ თავსაც. მხედველობაში მყავს ცენტრალური კომიტეტი, მთავრობა, პოლიტბიურო, ვფიქრობ, არცთუ იშვიათად ჩამოვრჩებით სიტუაციის ანალიზში, მოვლენათა შეფასებაში და შესაბამისი გადაწყვეტილებების მომზადებაშიც. ანდა, პირიქით, ვჩქარობთ, იმპულსურად ვიქცევით, არ ვიაზრებთ ჩვენს მოქმედებას, ასე ვთქვათ, რამდენიმე სვლით ადრე.

რა თქმა უნდა, არავინ, მათ შორის, არც პარტიის ხელმძღვანელობა, არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან. ისინი იყო და იქნება, არ არის საჭირო ვილაპარაკოთ შეცდომებზე, რომლებიც მოგვივიდა თუნდაც ეკონომიკურ სფეროში, ახალი სამეურნეო მექანიზმის ჩამოყალიბების საქმეში, ისინი ყველამ ვიცით. დღეს ჩვენს წარუმატებლობებს უნდა

(დასასრული მე-3 გვ.).

ლენინურ პრინციპებზე ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ახალი თვისებებისაკენ

(დასასრული)

დავუმატოთ მეცნიერულ-ტექნიკურ პროცესში წარმოჩენილი ნეგატიური ტენდენციებიც, რაც, ჩემი აზრით, ძალზე შემაშფოთებელია, და აშკარა შეფერხებები წლევანდელი სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებაში.

მაგრამ, ამხანაგებო, როდესაც ჩვენ ვრწმუნდებით რომ არ ჭრის ესა თუ ის გადაწყვეტილება ან მოქმედება, მაშინ, ბუნებრივია, დაუყოვნებლივ უნდა გამოვასწოროთ ისინი. ჩვენ კი არცთუ იშვიათად რაღაცას ველოდებით. ალბათ, აქ თავს იჩენს ზოგადი სენი — თითოეულმა ბევრი ილაპარაკოს და ნაკლები აკეთოს თავისი კონკრეტული საქმე. პარტიულ ორგანიზაციებშიც და საბჭოთა ორგანოებშიც ჯერ კიდევ ძალზე ბევრია რიტორიკა ცოცხალი პრაქტიკული მუშაობის ნაცვლად.

ჩვენ, თქვა ორატორმა, აშკარად არ გვყოფნის ძალები ყველა მიმართულებით ერთდროული შეტევისათვის. იქნებ ღირდეს ერთხელ კიდევ დავფიქრებულიყავით იმაზე, რომ მთელი ძალისხმევა წარემართათ გარდაქმნის პრიორიტეტულ, გადამწყვეტ, უმთავრეს რგოლებში. ნათქვამი ეხება, კერძოდ, ფუნქციების ნაწილის გადაცემას პარტიული ორგანოებისაგან საბჭოებისათვის. ეს პროცესი გაუმართლებლად გაჭიანურდა. ბევრი პარტიული კომიტეტი ჩამოსცილდა მისთვის უცხო სამეურნეო საქმეებს, ხოლო საბჭოებს ჯერაც არ მოუკიდიათ ნამდვილად ხელი მუშაობისათვის, არა აქვთ შესაბამისი აპარატი, თან, მოგეხსენებათ, ამ საკითხებში მათი უფლებებიც არ არის ჯერჯერობით ზუსტად განსაზღვრული. მოკლედ რომ ვთქვათ, გარდაქმნაში წარმოიშვა კიდევ ერთი დაუშვებელი ბზარი, რომელიც სასწრაფოდ უნდა ამოვავსოთ. დღესდღეობით კი გარდაქმნის პროცესის ხელმძღვანელობაში არსებული ნაკლოვანებებით სპეკულაციას იწყებენ ძალები, რომლებიც ცდილობენ ჩამოაყალიბონ პარალელური პოლიტიკური სტრუქტურები. ეს ფაქტია.

ჩემი აზრით, სწორედ ყველა ამ პრობლემის პრიზმით უნდა განვიხილოთ გარდაქმნის ეროვნული პარამეტრებიც. ჩვენ გულდასმით ვაცნობიერებთ რამდენ მწვავე და რთული ვითარება ქვეყნის მთელ რიგ რეგიონებში, რა თქმა უნდა, თუ ჭეშმარიტებას არ შევუდრკებით, ვერ ვიტყვით, რომ წინათ ყურადღება არ ეთმობოდა ეროვნული ეკონომიკებისა და კულტურების განვითარებას, ეროვნული კადრების აღზრდას, ეროვნული პოლიტიკის სხვა მხარეებს. მაგრამ ასევე უმართებულო იქნებოდა იმის უარყოფაც, რომ ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ჯეროვნად არ ვაფასებდით ეროვნული პროცესების მთელ სიღრმეს, ვიტყუებდით თავს ილუზიებით.

და მაინც, გაგაკვირვებთ და ვიტყვი: კონფლიქტური სიტუაციები, რომლებიც ხდებოდა და ხდება მთელ რიგ მოკავშირე რესპუბლიკებში, მათ შორის რუსეთის ფედერაციაში, გახდა არა მარტო შედეგი ეროვნებათაშორისი თანაცხოვრების კონკრეტული საკითხებისადმი არასწორი მიდგომისა, არამედ აგრეთვე მოჰყვა ამ სოციალისტური და სულიერ-იდეოლოგიური საფუძვლის ერთგვარ შესუსტებას, რომელსაც საზოგადოება ემყარება. სწორედ ამაში უნდა ვეძებოთ ამ მტკივნეული მოვლენების წყარო, რომლებსაც ეროვნულ ურთიერთობათა სფეროში წავაწყდით. სწორედ ამ ფონზე უნდა განვიხილოთ მოპოლიტიკანო წრეების, ნაციონალისტური ელემენტებისა და ძირგამომთხრელი ანტისოციალისტური ძალების მოქმედებაც. ეს კი ნიშნავს, რომ ეროვნული პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ გარდაქმნის [illegible] პროცესის კალაპოტში, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის დემოკრატიზაციას, სოციალიზმის იდეოლოგიური ბაზის განმტკიცებას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ პროცესს ხელი უნდა შეუწყოს რუსეთის ფედერაციის უფლება-მოვალეობათა გაწონასწორებამ ერთიანი საბჭოთა ფედერაციული სახელმწიფოს ფარგლებში. საბჭოთა ისტორიის საწყის ეტაპზე, როდესაც ჩვენს რესპუბლიკას განვითარების შედარებით მაღალი დონე ჰქონდა, რუსეთისა და საერთო-საკავშირო სტრუქტურების გარკვეული დამთხვევა ხელს აძლევდა მთელ ქვეყანას, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ენერგიის გადანაწილებას მთელი ქვეყნის ინტერესებისათვის. დღეს კი, როდესაც სხვა მოკავშირე რესპუბლიკები მომაგრდნენ, რუსეთის ფედერაციის სამეურნეო და პოლიტიკური მექანიზმების არასრულყოფილობა ვნებს მთელ ქვეყანას და, უწინარეს ყოვლისა, თვით რუსეთის ერებსა და ეროვნებებს.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკის საზოგადოებრიობა სულ უფრო მტკიცედ იღებს იმისათვის, რომ რუსეთის ფედერაციაში ჩამოყალიბდეს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში არსებული სტრუქტურების ანალოგიური ადმინისტრაციულ-მმართველობითი სტრუქტურები, ამაღლდეს ავტონომიური წარმონაქმნების სტატუსი. რუსეთის სფსრ უმაღლესმა საბჭომ და მინისტრთა საბჭომ უკვე წარუდგინეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მთავრობას, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს შესაბამისი წინადადებები, რომ შეიქმნას შინაგან საქმეთა სამინისტრო, ჩამოყალიბდეს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ერთიანი რესპუბლიკური სისტემა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემია, განვითარდეს საინფორმაციო ორგანოები, პრესა, რადიო-ტელევიზია — რუსეთის სფს რესპუბლიკაში, და მთელი რიგი სხვა წინადადებანი.

რუსეთის საზოგადოებრიობის წუხილსა და გაოცებას იწვევს ნეგატიური მომენტები, განაცხადა ორატორმა, რომლებიც ზოგიერთ რესპუბლიკაში შეიმჩნევა რუსების მიმართ. გვაწუხებს ჩვენ შინაური სიძნელეებიც ეროვნული საკითხის გადაწყვეტაში. უწინარეს ყოვლისა ის, თუ როგორ დავძლიოთ საბოლოოდ უსამართლობა, სტალინის რეჟიმის დროს რომ დაუშვეს რუსეთის ფედერაციის მთელი რიგი ხალხებისადმი, რომლებიც ძალით აყარეს და გაასახლეს მამაპაპეული ადგილებიდან. როგორ ავამაღლოთ ჩრდილოეთის ეროვნებათა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე? როგორ გავაფართოოთ ავტონომიური წარმონაქმნების უფლებები? ყველა ამ პრობლემის გადაჭრას უნდა ვუდგებოდეთ ძალზე დაკვირვებით და ყურადღებით. ერთი რამ ცხადია: ყველა ეს რთული და მწვავე საკითხი უნდა წყდებოდეს ყველა ხალხის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით ჩვენი საბჭოთა ფედერაციის ფარგლებში, სოციალიზმის პრინციპებით.

ჩვენი აზრით, პლენუმზე უნდა განვსაზღვროთ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურების იმ ელემენტების ფორმირების წესი, რომლებიც გვაკლია რუსეთში. ამის თაობაზე პლატფორმის პროექტში ჩამოყალიბებულია პრინციპული მიდგომები. მათ ვიზიარებთ. მაგრამ ღირდა გვეფიქრა იმაზეც, რომ დავეკონკრეტებინა ისინი ცალკეულ გადაწყვეტილებებად. როგორც ცნობილია, გამოთქვამენ აზრს, რომ სკკპ ფარგლებში შეიქმნას რუსეთის ორგანიზაცია. საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე გაიმართა სჯა-ბაასი იმის შესახებ, რომ ამ ორგანიზაციებშიც შექმნილიყო შესაბამისი რუსეთის სტრუქტურები. და ჩვენ, ალბათ, გარკვეული პოზიცია უნდა დავიკავოთ ყველა ამ საკითხში, ავწონ-დავწონოთ ყოველივე. მიზანშეწონილი იქნებოდა, დაგვევალებინა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის შემოეტანა წინადადებანი ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს შექმნის შესახებ, განესაზღვრა რუსეთის ფედერაციის პარტიულ ორგანიზაციათა კონფერენციის მოწვევის ვადები.

რა თქმა უნდა, რუსეთის სტატუსის მოგვარება საკავშირო სახელმწიფოს ფარგლებში ოდნავადაც არ ამცირებს მისი ინსტიტუტების, კერძოდ, მათი მაკოორდინირებელი როლის მნიშვნელობას მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციის მიკუთვნებულ საკითხებში.

უეჭველია, ჩვენ სწორად ვიქცევით, როდესაც, ვაყალიბებთ რა კონცეფციას ეროვნული ურთიერთობის დარგში, საგანგებოდ გამოვყოფთ პარტიის საკითხს. მთელი ჩვენი გამოცდილება ადასტურებს, რომ მხოლოდ ერთიან პარტიას შეუძლია უზრუნველყოს ჭეშმარიტად ინტერნაციონალისტური მიდგომა მთელი საზოგადოებისა და მისი თითოეული შემადგენელი ნაწილის განვითარებისადმი. არ შეიძლება გამარტივებულად განვმარტავდეთ პოლიტიკური და ეკონომიკური დემოკრატიის ურთიერთკავშირს, როდესაც საქმე ეხება რესპუბლიკების ურთიერთობას.

ჩვენ არ შეგვიძლია პარტიულ საქმეებში ვიმოძრაოთ იმ ძალზებზე, რომლებიც აყალიბებენ სამეურნეო ანგარიშს, საბაზრო ურთიერთობებს, არ შეგვიძლია პარტიულ პოლიტიკაში შევიტანოთ დოტაციებისა და გადასახადის პრინციპი. სხვა საქმეა მივანიჭოთ უფრო თანამედროვე ფორმები დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებს, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ერთ მთლიანად აერთიანებს.

დასასრულ ვ. ი. ვოროტნიკოვმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სისხლხორცეულად არის დაინტერესებული, რომ მის საქმიანობაში ითვალისწინებდნენ შეხედულებათა მაქსიმალურად ფართო სპექტრს. ერთობ დროულად გვესახება წინადადებაც, რომ უფრო სრულად დამუშავდეს საწესდებო დებულებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ პოლიტიკური გადაწყვეტილებების სხვადასხვაგვარი ალტერნატივების ყოველმხრივ განხილვას, აზრის თავისუფლებას, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ შეზღუდვას, დისკრიმინაციას პარტიის წევრთა იმ ნაწილის მიმართ, უმცირესობაში რომ აღმოჩნდა გადაწყვეტილებათა მიღების დროს. ამასთანავე, ბუნებრივია, არ უნდა დავუშვათ არავითარი ფრაქციული საქმიანობა. ამავე დროს, ხაზი გაუსვა მან, პარტია უფრო კარგახსნილი უნდა იყოს პროგრესული, სწორედ რომ პროგრესული მასობრივი მოძრაობების, ფრონტებისა და არაფორმალური ჯგუფების მიმართ.

შემდეგ გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **გ. გ. გუმბარიძე** (გამოსვლა ქვეყნდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში).

ტრიბუნაზეა პარტიის ირკუტსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ი. პოტაპოვი**. მან თქვა: დღეს ვიხილავთ საკითხს, რომლის გადაწყვეტაზე არსებითად დამოკიდებულია ჩვენი მრავალეროვანი კავშირის ბედი. ეროვნებათაშორისი პრობლემები ძირითადი წყალგამყოფი გახდა ჯანსაღ გარდაქმნის მომხრე ძალებსა და იმათ შორის ბრძოლაში, ვისაც, ისარგებლეს რა სიძნელეებით, სურს დაატორპედოს განახლების პროცესები, განახორციელოს თავისი ამბიციური, ვიწროჯგუფური მიზნები. ვითარებას ართულებს ბევრი სოციალური, ეკონომიკური პრობლემის გადაუჭრელობა, ემოციების მოზღვავება, ზოგიერთი ჩიხური სიტუაციის არსებობა, როგორიცაა, მაგალითად, მთიანი ყარაბაღი, ფერღანა, აფხაზეთი და ჩვენი ქვეყნის სხვა წერტილები.

ბევრჯერ მოგვისმენია მსჯელობა იმის შესახებ, თქვა ორატორმა, რომ ციმბირში ეს პრობლემები ასე მწვავედ არ დგას. მართლაც, ჩვენში არა ყოფილა ეროვნებათაშორისი კონფლიქტები მძიმე შედეგებითურთ და ეროვნული თვითშეგნების განთავისუფლების პროცესი, როგორც იტყვიან, ძირითადად ჯანსაღ საფუძველზე მიმდინარეობს. მაგრამ ამ მნიშვნელოვან საკითხში არ შეიძლება იყოს დიდი და პატარა პრობლემები, რადგან ერთა და ეროვნებათა ურთიერთობის ხაზი გადის ადამიანთა გულსა და სულში. კომუნისტები მოვალენი არიან მხოლოდ ასე ესმოდეთ ეს პრობლემები, ეროვნულ უფლებებსა და გრძნობებში შელახული თითოეული ოჯახის, თითოეული ადამიანის ჭირვარამი უნდა იყოს მთელი ჩვენი პარტიის, მთელი ჩვენი სახელმწიფოს ტკივილი და წუხილი.

ციმბირი მოსახლეობის შემადგენლობით ასევე მრავალეროვანი მხარეა. ირკუტსკის ოლქში, მაგალითად, ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნებათა ადამიანების დიდი ჯგუფები — თათრები, უკრაინელები, ბელორუსები, ტოფები, ევენკები და სხვები. არის უსტ-ორდინსკის ბურიატთა ავტონომიური ოკრუგი, რომლის მოსახლეობა ასიცდაათი ათასს აღემატება. ყველა ამ ერსა და ეროვნებას შეეხო უძრაობის ეროვნული პოლიტიკა, რომელსაც მწვავე სოციალური პრობლემები, მათი ცხოვრების წესის დეფორმაციები, ბევრი თავისთავადი კულტურული და ენობრივი ტრადიციის დაკარგვა თავიანთი ხალხების ისტორიისადმი ინტერესის შესუსტება მოჰყვა, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, მაგალითად, ბურიატი ეროვნების ბავშვთა ნახევარზე მეტი არ სწავლობს მშობლიურ ენას. ახლა ეს გადახრა სწორდება.

ორატორმა მთლიანად დაუჭირა მხარი მოხსენებაში ჩამოყალიბებულ იმ პოზიციას, რომ ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სფეროში დაძაბულობის ერთ-ერთი მიზეზია მთელი რიგი რეგიონების მეტად არათანაბარი სოციალური განვითარება, მათი ინტერესების შელახვა უწყებების დიქტატის გამო, გადახრები საინვესტიციო პოლიტიკაში. ამ მხრივ საგულისხმოა ირკუტსკის ოლქი. ჰყავს რა მოსახლეობის ერთ პროცენტზე ნაკლები, იგი იძლევა ეროვნული შემოსავლის დაახლოებით ორ პროცენტს, ელექტროენერგიის, ალუმინის, ხე-ტყის მასალების, ცელულოზის, ქიმიური, სავათობისა და სხვა პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს. მაგრამ რა აქვს? გაცილებით ნაკლები ცხოვრების დონე სხვა ოლქებთან და რეგიონებთან შედარებით, მნიშვნელოვანი ჩამორჩენა ხორცისა და ხილბოსტნეულის პროდუქციის მოხმარებაში, ბინებით, სკოლებით, სავადმყოფოებით, საბავშვო ბაღებითა და სხვა სოციალურ-კულტურულ და საყოფაცხოვრებო ობიექტებით უზრუნველყოფაში. ოცი პროცენტის ოდენობით რაიონული კოეფიციენტი აშკარად არ შეესაბამება ოლქის არც წვლილს საერთო-საკავშირო ყულაბაში, არც ციმბირელთა ცხოვრების მკაცრ პირობებს.

დღეს ყველა ეს საკითხი იძენს პოლიტიკურ ელფერს, იწვევს მშრომელთა სამართლიან უკმაყოფილებას, არის სოციალური და ეროვნებათაშორისი კონფლიქტების წყარო. ამიტომ საბჭოთა ფედერაციისა და ეროვნული ავტონომიის სრულყოფასა და განმტკიცებაში უაღრესად მნიშვნელოვანია თვითგამორკვევისა და სუვერენიტეტის ეკონომიკური შინაარსის შესახებ პლატფორმის დებულება, რაც იმას გულისხმობს, რომ რესპუბლიკები, მხარეები და ოლქები უნდა გადავიდნენ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე. ეს სავსებით ეთანხმება რეგიონალური სამეურნეო ანგარიშის იდეას, რომლის მოდელს ახლა აქტიურად ამუშავებენ ქვეყნის ბევრ ოლქსა და ქალაქში, მათ შორის ირკუტსკის ოლქშიც.

მაგრამ, მთლიანად დადებითი შეფასება მისცა რა პარტიულ დოკუმენტს, ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მას არ შეუძლია სრული კომპლექსურობა და მთლიანი თანასწორუფლებიანობის გზების ძიება. ავიღოთ საკითხი რუსეთის ფედერაციის სამართლებრივი სტატუსისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების გარდაქმნის შესახებ. ის, რომ ეს პრობლემები ცალკე ბწკარად არის გამოყოფილი, კარგია. მაგრამ, ორატორის აზრით, მათ დამუშავებას სანახევრო ხასიათი აქვს, არ ითვალისწინებს უკანასკნელ ხანს ქვეყანაში შექმნილ ახალ რეალობებს. ერთი მხრივ, მხარს ვუჭერთ რესპუბლიკებისათვის ნამდვილი დამოუკიდებლობის მინიჭებას, მეორე მხრივ კი არათანაბარ მდგომარეობაში ვაყენებთ მათ, და, კერძოდ, პარტიული და საზოგადოებრივი მშენებლობის საკითხებში.

ბწკარი პლატფორმაში იმის შესახებ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სტრუქტურაში შეიქმნას ცენტრალური კომიტეტის რუსეთის პარტორგანიზაციებთან მუშაობის ბიურო, მისი აზრით, პრობლემას ვერ ხსნის. პირიქით, ქმნის პარტიული მმართველობის ახალ ნაკლებეფექტიან საფეხურს. რა საჭიროა, განაცხადა ორატორმა, დავუბრუნდეთ იმ ძველ სტრუქტურებს, რომლებმაც ვერ გაამართლეს, მხედველობაში მაქვს 1966 წელს სკკპ XXIII ყრილობის მიერ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ფედერაციის ბიუროს გაუქმება. უნდა წავიდეთ უფრო შორს ამ საკითხის გადაწყვეტაში. რუსეთის კომპარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის შექმნის საკითხი უნდა განვიხილოთ, ჩემი აზრით, უახლოეს ხანში.

შეეხო რა რუსეთის ეკონომიკის მართვას, მან აღნიშნა, რომ როგორც ჰგონია, რეგიონალური მიდგომა მეურნეობრიობის ყველაზე მოხერხებული ფორმაა. იგი შესაძლებლობას გვაძლევს დავამყაროთ ისტორიული სამართლიანობა რუსეთის მიმართ, სავსებით შეესაბამება მოკავშირე რესპუბლიკების თანასწორუფლებიანობის პრინციპებს.

პლატფორმის ცალკეული დებულებანი, ორატორის აზრით, მოითხოვს დაკონკრეტებას, უფრო ზუსტ ფორმულირებებს. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება მოკავშირე რესპუბლიკების უფლებამოსილებათა და კომპეტენციის, აგრეთვე საკუთრების საკითხთა განსაზღვრას. მისი აზრით, ფორმულის „ძლიერი კავშირი და ძლიერი რესპუბლიკები" ნაწილი საკმაოდ ძლიერად ვერ არის დასაბუთებული. უნდა გავითვალისწინოთ, რომ რესპუბლიკებისა და რეგიონების გადასვლა სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე, პოზიტიური საწყისის გარდა, შეიცავს სწორედ საერთო-ეროვნებათაშორისო ურთიერთობის სფეროში კონფლიქტურ სიტუაციათა წარმოქმნის, იზოლაციონისტური განწყობილებების ზრდის პოტენციურ შესაძლებლობასაც, რაც ახლა უკვე შეიმჩნევა პროდუქციის მოწოდების საკითხებში. დისციპლინა აქ, განაცხადა ორატორმა, პირდაპირ უნდა ვთქვათ, პრაქტიკულად არაღ იქცა. ორატორმა გამოთქვა წინადადება, რომ ამ საკითხების რეგულირება და კოორდინაცია გარკვეულწილად დარჩეს ცენტრს.

მან აგრეთვე აღნიშნა, რომ საკუთრების საკითხშიც კავშირის როლი სქემატურია და შეიძლება ითქვას, ღრმად ვერ ჩანს. საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ორატორმა წინადადება წამოაყენა განიხილონ საკითხი, რომ საერთო-საკავშირო საკუთრების ფარგლებში დარჩეს თავდაცვითი მნიშვნელობის, მეტალურგიული კომპლექსის, რკინიგზისა და საავიაციო ტრანსპორტის საწარმოები.

მან გამოხატა თავისი დამოკიდებულება ისეთი დელიკატური საკითხისადმი, როგორიცაა თვითგამორკვევის პრინციპი. როგორც ცნობილია, სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ამ საკითხს ეხება, ჩაწერილია სსრ კავშირის კონსტიტუციასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმაში. პოლიტიკურ და სოციალურ პრაქტიკაში კი, ორატორის აზრით, უნდა გაიმიჯნოს კავშირისაგან ამა თუ იმ რესპუბლიკის გამოყოფის შესაძლებლობა და საჭიროება. საკითხის ორატორმა მოიყვანა მაგალითი, როცა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში აქტიურად სვამენ მხოლოდ სსრ კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლის შესაძლებლობის საკითხს და ცოტა ვინმე თუ ლაპარაკობს იმაზე, საჭიროა თუ არა ეს ნაბიჯი ახლა, შეესაბამება თუ არა იგი მთლიანად ლიტველი, ესტონელი და ლატვიელი ხალხების ინტერესებს. ბოლოს და ბოლოს ვინ შეისწავლა ბალტიისპირეთის ყველა მშრომელის ნამდვილი აზრი? როგორც კომუნისტს, თქვა ორატორმა, მინდა შევეკითხო ბალტიისპირელ ამხანაგებს: ყველაფერი გაკეთდა და კეთდება თუ არა, რათა შემოვაბრუნოთ კომუნისტთა, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის შეგნება სწორედ სტაბილურობის, ერთა და ეროვნებათა ურთიერთგაგების შექმნის მიმართულებით? ამ საკითხში, გარეშე მეთვალყურენი არ არსებობენ. ირკუტსკის ოლქის კომუნისტები და მშრომლები განსაკუთრებული შეშფოთებითა და შიშით შეჰყურებენ ბალტიისპირეთში მიმდინარე ამბებს. ადამიანებისათვის ზოგჯერ გაუგებარია ამ რეგიონში შექმნილი პარადოქსული სიტუაცია. ერთი მხრივ, როგორც ვიცით, ბალტიისპირეთი არის გარდაქმნის ბევრი პროცესის ინიციატორი. მას მინიჭებული აქვს ფართო შესაძლებლობანი, რათა განავითაროს სამეურნეო დამოკიდებულება. მეორე მხრივ — ეს რეგიონი დღეს გარდაქმნისათვის ყველაზე საშიშია.

ამასთან დაკავშირებით ორატორმა გაიხსენა სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე მთელ რიგ ხალხის რჩეულთა გამოსვლები, რომლებიც გაფრთხილებას იძლეოდნენ ბალტიისპირეთში შესაძლო და გაუთვალისწინებელი შედეგების შესახებ.

სამწუხაროდ, სახალხო დეპუტატების ხმა, რომელთა მიღმა ათასობით ადამიანი დგას, ჩანს, ვერ გაიგეს. საქმე კი აქ სულ უფრო მკვეთრ ხასიათს იღებს. ამას მოწმობს, მისი აზრით, პროფესორ მადეს განცხადებანი, რომელმაც საშინლად გალანძღა რუსი ხალხი, საბჭოთა სახელმწიფოს სიმბოლიკის გამასხარავება, ძეგლებისა და ჯარისკაცთა სასაფლაოების შებღალვა. ეს არის აღვირახსნილი ნაციონალიზმი და შოვინიზმი, ეროვნული შუღლის გაღვივება, თქვა ორატორმა, კანონი კი დუმს, თუმცა არავის არ გაუუქმებია პასუხისმგებლობა ამ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებისათვის. ორატორი დაეთანხმა ამხანაგ აფანასიევის გამოსვლას, რომ პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს კომუნისტებსაც, რომლებიც ხელს უშლიან პარტიული პლატფორმების რეალიზაციას.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეროვნული საკითხების გადაჭრის საბაბით ძირფესვიანად ირყევა ეკონომიკა. სულ უფრო მაგრად იკვრება სოციალური პრობლემების კვანძი, შემდეგ კი ტკბებიან ამ გაჭირვებით და მის საფუძველზე სცემენ იმათ, ვინც რაღაცას მაინც აკეთებს საქმისათვის. მან დაიმოწმა ფრანგი ფილოსოფოსის მიშელ მონტენის სიტყვები, რომელიც ამბობდა: „ისინი, ვინც სახელმწიფო წყობილებას არყევს, უფრო ხშირად პირველები იღუპებიან მისი ნგრევის დროს".

გაუგებარია, ორატორის აზრით, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ერთგვარი გაუბედაობა პარტიული, ასე ვთქვათ, დაქუცმაცების, სამეურნეო და ეკონომიკური მერყეობის თავიდან აცილების საქმეში. მან მთელი რწმენითა და სიმტკიცით მხარი დაუჭირა მოხსენებაში ნათქვამს იმის შესახებ, რომ საჭიროა ყველგან დამყარდეს დისციპლინა და წესრიგი. მან აგრეთვე სავსებით დაუჭირა მხარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის განცხადებას ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ორატორმა აღნიშნა, რომ ახლა უკვე ცოტაა მხოლოდ შეფასება და ფაქტების აღნიშვნა. საჭიროა გადამწყვეტი პრაქტიკული მოქმედება. მომავლისათვის საჭიროა საბჭოთა ფედერაციის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ფუძემდებელ ღირებულებათა დაცვა.

დასასრულ ვ. ი. პოტაპოვმა განაცხადა, რომ ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სფეროში მომხდარმა ამბებმა ერთხელ კიდევ დამაჯერებლად დაადასტურა, რომ ამ ისტორიულ ეტაპზე გარდაქმნის, საზოგადოების მთელი ჯანსაღი ძალების კონსოლიდაციის გარანტი სწორედ და მხოლოდ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიაა. ამიტომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ყველა კომუნისტის ამოცანა ახლა, როგორც არასდროს, ის არის, რომ საქმით, სწორედ რომ საქმით, თვალისჩინივით გაუფრთხილდნენ პარტიის ერთიანობას.

ტრიბუნაზეა ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ა.-მ. კ. ბრაზაუსკასი**. ჩემი აზრით, თქვა მან, დღეს უნდა განვსაზღვროთ ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ჯაჭვის ის მთავარი რგოლები, რომელთა ხელის ჩაჭიდებით შევძლებთ მთელი ჯაჭვის გამოთრევას. ერთ-ერთი ასეთი რგოლია უაღრესად რთული და დაუყონებლივ გადასაჭრელი საკითხი, რომელიც შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: ან შეიქმნება თანასწორუფლებიანი სუვერენული სახელმწიფოები — რესპუბლიკების ნამდვილი კავშირი, როგორც განსაზღვრულია ეს ჩვენს კონსტიტუციაში, რომელშიც ისინი რეალურად იქნებიან დაინტერესებული როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად, ანდა შეიძლება ჩაიშალოს დემოკრატიული სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობისათვის ძალისხმევა.

ჩვენ ყველამ უნდა ვაღიაროთ, ხაზი გაუსვა ორატორმა, რომ ქვეყნის სხვადასხვა ადგილას შექმნილი მდგომარეობა ჯერჯერობით სწორედ ამ უკანასკნელს ადასტურებს. ეროვნებათაშორისი წინააღმდეგობანი დღეს, ერთი მხრივ, უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამოხატულებაა, მეორე მხრივ კი ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების და ცენტრალიზებული სახელმწიფოს ინტერესებს შორის წინააღმდეგობათა გამოხატულება. ამიტომ სწორი არ იქნებოდა ის, რაც დღეს რესპუბლიკაში ხდება, ლოკალურ მოვლენად მიგვეჩნია. ეს პროცესები იმ სიღრმისეული მოძრაობათა ანარეკლია, რომლებიც ხდება პარტიაში, საერთოდ ქვეყანაში. მათი სიმწვავე და უჩვეულობა კიდევ ერთი არგუმენტია ფაქტის აღიარებისათვის: პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესები ლიტვის სს რესპუბლიკაში მიმდინარეობს ინტენსიურად. ეს გარკვეულ საფრთხეს შეიცავს. ეს შეშფოთება აისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის განცხადებაშიც „საბჭოთა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში შექმნილი მდგომარეობის შესახებ".

ლიტვაში შექმნილი მდგომარეობის შეფასებისას ორატორმა აღნიშნა, რომ მას ახასიათებს პოლიტიკური ვნებათა ღელვის დიდი დაძაბულობა, მოსახლეობის ფართო ფენების გააქტიურება, მათი ეროვნული თვითშეგნების სწრაფი ზრდა. პოლიტიკური ცხოვრების ცენტრშია ლიტვის კომპარტია, აგრეთვე საზოგადოებრივი არაფორმალური მოძრაობა „საიუდისი". მათი ურთიერთდამოკიდებულება გადამწყვეტწილად განსაზღვრავს ლიტვაში მიმდინარე პროცესების მიმართულებასა და პოლარულობას. ამასთანავე საჯაროობამ და დემოკრატიზაციამ პოლიტიკურ სარბიელზე გასვლის საშუალება მისცა სხვადასხვა მიმართულების ბევრ არაფორმალურ ორგანიზაციას. ზოგიერთი მათგანი თავს პარტიას უწოდებს. უფრო ხშირად ისინი აყენებენ უაღრესად კატეგორიულ ლოზუნგებს და ახორციელებენ აქციებს, რომლებიც ხშირად ლიტვაში ჩამოსული ადამიანების ყურადღების ცენტრში ხვდება. რესპუბლიკაში კი, თქვა ორატორმა, ეს ძალები, როგორც წესი, განსაკუთრებულ მხარდაჭერას ვერ პოულობენ. ამიტომ მასობრივი ინფორმაციის ცენტრალურ საშუალებათა პოზიცია, რომლებიც ცალკეული ფაქტებისაგან ფართო განზოგადებებსა და დასკვნებს აკეთებენ და ამის საფუძველზე ქმნიან საზოგადოებრივ აზრს, მიუღებელია და ხელს არ უწყობს ხალხთა შორის ურთიერთგაგების განმტკიცებას.

ლიტვის კომპარტია, აღნიშნა ორატორმა, ხალხის შეგნებაში გზას იკაფავს უნდობლობის მძლავრი ფენების გავლით, უნდობლობისა, რომელსაც უაღრესად ღრმა ისტორიული ფესვები და სერიოზული სოციალ-ეკონომიკური მიზეზები აქვს. მასების რწმენის მოპოვება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ღრმად განიმსჭვალები ხალხის მისწრაფებებითა და ინტერესებით, გადადგამ რადიკალურ და გადამწყვეტ პოლიტიკურ ნაბიჯებს. ამიტომ ჩვეულებრივი ლოზუნგი „პარტიის გეგმები ხალხის გეგმებია!" — დღეს სხვაგვარად ჟღერს: „ხალხის გეგმები პარტიის გეგმებია!". მას მხარს უჭერს ხალხი, რადგან ეს მარტოოდენ სიტყვების გადაადგილება არ არის, ლიტვის კომუნისტებს კარგად ესმით, რომ ახალ პირობებში ხელმძღვანელობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ღრმად აცნობიერებ მიმდინარე პროცესებს, ადამიანთა ინტერესებს, ზუსტად გაქვს წარმოდგენილი გადაწყვეტის გზები და იღებ ასეთი ხელმძღვანელობის მანდატს.

ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ილაპარაკა რესპუბლიკის იმ ძალებზე, რომლებისთვისაც დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი საბჭოთა კავშირიდან გასვლას უკავშირდება, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომუნისტების პოზიცია, ისევე როგორც რესპუბლიკის ყველა საღად მოაზროვნე ადამიანის პოზიციაც, ერთმნიშვნელოვანია: ლიტვა ისე არის ინტეგრირებული საკავშირო ეკონომიკაში, აქვს ისეთი პოლიტიკური, კულტურული და უბრალოდ ადამიანური ურთიერთობანი, რომ მათი გაწყვეტა დამღუპველი იქნებოდა. ლიტველ ხალხს სურს მეგობრული, თანასწორუფლებიანი ურთიერთობა ჰქონდეს ჩვენს უახლოეს მეზობლებთან: რუსებთან, ბელორუსებთან, ლატვიელებთან და სხვებთან. ჩვენ მიგვაჩნია, თქვა ორატორმა, რომ თანამედროვე მსოფლიოში არ არის და არც შეიძლება იყოს იზოლირებული, აბსოლუტურად დამოუკიდებელი სახელმწიფოები და ხალხები. ამ ურთიერთდაკავშირებულ მსოფლიოში ყოველი სახელმწიფო და ერი იმდენად სუვერენულია, რამდენადაც მათ შეუძლიათ დამოუკიდებლად აირჩიონ დამოკიდებულების შინაარსი და ფორმა, ესე იგი რამდენად ნებაყოფლობით ამბობენ უარს თავიანთი უფლებების ნაწილზე, ჩვენს შემთხვევაში, საერთო-საკავშირო მიზნების გულისათვის. ასეთია ცივილიზებულ, დემოკრატიულად ორგანიზებულ სახელმწიფოთა ნორმალური მდგომარეობა, რისთვისაც იბრძვის ლიტვის კომპარტია.

სუვერენიტეტი მარტო მიზანი როდია. ეს ხალხის ცხოვრების უფრო მაღალი ხარისხისა და დონის მიღწევის საშუალებაც არის. მან უნდა უზრუნველყოს განვითარება საზოგადოებისა, რომელიც თავისუფალი იქნება წარსულის ნარჩენი დეფორმაციებისაგან და დაზღვეული იქნება მომავალში მათი განმეორებისაგან. ასეთი დამოკიდებულება ორგანულად უნდა შეერწყას ჩვენს ყოველგვარ ურთიერთობას — ეკონომიკურს, პოლიტიკურს, სახელმწიფოებრივს. ბევრი რამ უკვე მონიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმის პროექტში, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის გადაწყვეტილებებში. ბევრი რამ ჯერ კიდევ მოსაძებნია, ასეთი ძიება ჩვენს რესპუბლიკაშიც მიმდინარეობს. ჩვენი აზრით, ხაზგასმით აღინიშნა გამოსვლაში, ჩვენი სახელმწიფოს როგორც თანასწორუფლებიან სახელმწიფოთა კავშირის წყობილება თვისებრივად განვითარების უფრო მაღალი დონეა, ვიდრე ფედერაცია.

ეროვნებათაშორისი ურთიერთობათა გამწვავება იმითაც არის განპირობებული, რომ სულ უფრო უარესდება ეკონომიკური მდგომარეობა. კრიზისიდან გამოსავალი რესპუბლიკებისათვის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მინიჭებაა. ეს სულაც არ ნიშნავს განცალკევებას, პირიქით, ითვალისწინებს ფართო ურთიერთსასარგებლო კავშირურთიერთობებს სხვა რესპუბლიკებთან და სხვა სახელმწიფოებთან. ეკონომიკური დამოუკიდებლობა ვერ განხორციელდება, თუ დამოუკიდებლობა არ მიენიჭა რესპუბლიკის ცალკე ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა საწარმოსა და ორგანიზაციას, საუწყებო, რესპუბლიკათაშორის ან სახელმწიფოთაშორის საწარმო-ორგანიზაციებს. მხოლოდ მაშინ შეიძლება ყოველი რესპუბლიკისა და ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება. და ეს მთელი ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის არსია. ეს ჩამოყალიბებულია ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტშიც, რომელსაც, იმედი გვაქვს, მოიწონებს ქვეყნის უმაღლესი საბჭოს სესიაც. ეს იქნებოდა ხალხის ნდობის მანდატი რესპუბლიკის კომუნისტური პარტიისთვისაც. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სფერო უაღრესად რთულია, ხშირად მტკივნეული პრობლემაა, სტალინის ეროვნული პოლიტიკის გამო ძლიერ დასახიჩრებული სფეროა.

ორატორმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმის ისტორიულ ნაწილში, ეროვნული პოლიტიკის სფეროში დამკვიდრებული ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდების დაგმობასთან ერთად მაინც საკმაოდ მკაფიოდ არ არის დასახელებული და გაკიცხული სსრ კავშირის ხალხთა, მათ შორის ლიტველი ხალხის წინააღმდეგ სტალინური დანაშაულობანი. მარტო ლიტვაში უსაფუძვლოდ გაასამართლეს და გადაასახლეს ყოველი მეათე კაცი. ლიტვის კომპარტია, რომელიც ერთმნიშვნელოვნად გმობს საბჭოთა ხალხების წინააღმდეგ მიმართულ სტალინურ პოლიტიკას, სრულიად გარკვევით გამოდის რუს ან ჩვენი ქვეყნის ნებისმიერ ხალხთან სტალინიზმის გაიგივების (როგორც ამას ზოგიერთები შვრებიან) წინააღმდეგ. ეს, თქვა ორატორმა, ჩვენი პრინციპული პოზიციაა.

ჩვენ, განაგრძო მან, სავსებით ვუჭერთ მხარს პარტიის კურსს ჩვენი ეროვნული პოლიტიკის განახლებაში, მათ შორის ძალისხმევას თავიანთი ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ ფორმირებათა გარეთ მცხოვრები ეროვნული ჯგუფების კულტურული ტრადიციების, აგრეთვე ენების შენარჩუნებისათვის საჭირო პირობების უზრუნველსაყოფად. მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეროვნული რაიონების შექმნის გზა სერიოზულ დასაბუთებას მოითხოვს. მაგალითად, ჩვენს რესპუბლიკაში პლატფორმის პროექტის ამ დებულების, რა თქმა უნდა, სხვა მიზეზების გავლენითაც დაიწყო მოძრაობა პოლონელთა ტერიტორიული რაიონების შექმნისათვის, ესე იგი ერის ავტონომიზაციისათვის, რომელსაც ლიტვის სს რესპუბლიკის გვერდით თავისი სახელმწიფო წარმონაქმნი აქვს, თანაც ეს მოქმედება დაიწყო ლიტვის იმ უძველეს ტერიტორიაზე, რომელიც მხოლოდ ორი ათეული წლის განმავლობაში (1939 წლამდე) ოკუპირებული იყო მემამულური პოლონეთის მიერ.

ამიტომ, ავტონომიზაციის ასეთი მოდელის შემოთავაზებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა რთული ისტორიული მომენტიც, ბევრი მეზობელი ხალხის ბედ-იღბალში რომ მოხდა, სხვაგვარად პრობლემის ან პრობლემების გადაჭრის ნაცვლად ახალ კონფლიქტებს წარმოვქმნით.

ჩვენ, თქვა ორატორმა, მხარს ვუჭერთ პლატფორმის პროექტის დებულებას იმის შესახებ, რომ ჩვენი ფედერაციის გამდიდრება რეალური პოლიტიკური, ეკონომიკური შინაარსით გულისხმობს ახალ მიდგომებს პარტიული მშენებლობისადმი.

დღეს აშკარაა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახლანდელი პროგრამა და წესდება ბევრ რამეში ეწინააღმდეგება კავშირის განახლების [illegible] ლურ გარდაქმნას და რადიკალურ ცვლილებებს საჭიროებს. ბევრი კომუნისტი თვლის, რომ რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის დონე მოითხოვს წამყვანი პოლიტიკური ძალის — მისი კომპარტიის ადეკვატურ დამოუკიდებლობას.

ცხოვრება დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ დემოკრატიული ცვლილებები პარტიაში უფრო სწრაფად უნდა მიმდინარეობდეს, ვიდრე ცვლილებები მთლიანად საზოგადოებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში გარდუვალი ხდება ჩამორჩენა საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისაგან. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ახლანდელი სტატუსი არ შეესაბამება საბჭოთა კავშირში სუვერენულ რესპუბლიკათა სამართლებრივ მდგომარეობას. ამ და ზოგიერთმა სხვა მიზეზმა შეუწყო ხელი იმას, რომ ლიტვის ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამ წამოაყენა იდეა, რომ განხორციელდეს რესპუბლიკის კომპარტიის დამოუკიდებლობა მისი წესდებით და პროგრამით, რომლებიც შეესაბამებიან რესპუბლიკის ტერიტორიულ რეალიებს, ეროვნულ სპეციფიკასა და მომავალ სუვერენიტეტს.

ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ისტორიულად ჩამოყალიბდა, რომ ლიტვის კომპარტია მთელი თავისი არსებობის მანძილზე არასოდეს ყოფილა ნამდვილად დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა. მას მხოლოდ შემსრულებლის როლი ეთმობოდა. ყოველივე ეს აისახება დღეს ლიტვის კომპარტიაში მიმდინარე დისკუსიებშიც. საკითხის ასეთი დაყენება გარდუვალად წამოჭრის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციული წყობის განახლების, შეცვლის პრობლემასაც, წყობისა, რომელიც დღეს საქმით ემყარება არა დემოკრატიულ ცენტრალიზმს, არამედ [illegible] ცენტრალიზმის პრინციპს. ამ გზაზე უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები და ეს ძალზე მნიშვნელოვანია. მაგრამ ჩვენ უნდა ვიაროთ, ვიაროთ წინ, უფრო გაბედულად. რა თქმა უნდა, ეს ძალიან რთული საკითხია. მისი გადაწყვეტას ძალიან გულდასმით და აწონ-დაწონილად უნდა მივუდგეთ, მაგრამ მისი [illegible] ყოფა არაფრით არ შეიძლება.

ყოველგვარი დაყოფა [illegible] პარტიის წინააღმდეგ [illegible], თქვა დასასრულ ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა. [illegible] მოკავშირე რესპუბლიკების კომუნისტური პარტიები როგორც [illegible] შორის კომუნისტური [illegible] დამოუკიდებელი [illegible] ნაწილები, რომლებიც [illegible] რეთა კავშირს ქმნიან [illegible] ნაწილეობდნენ [illegible] ორგანოებისა და [illegible] ტიკის ფორმირებაში. [illegible] რიტეტული საწყისი [illegible] და დემოკრატიის [illegible] საფუძველზე უნდა [illegible] ბდეს ჩვენ, [illegible] ლი ქვეყნის კომუნისტური [illegible] განიზაციას. საბჭოთა [illegible] კომუნისტური პარტია [illegible] კავშირე რესპუბლიკების [illegible] ტიების ურთიერთობ[illegible] გარდაქმნის მსვლელობ[illegible] მიმდინარეობისა და [illegible] ორგანიზაციების შე[illegible] საქმიანობის მიხედვით [illegible] დებლობისაკენ მისწრაფ[illegible] არ უნდა ფასდებოდეს [illegible] კავშირის კომუნისტური [illegible] ის გაყოფად. პარტიის [illegible] მოითხოვს არასტანდარტულ [illegible] დაწყვეტილებებს, [illegible] გარდაქმნა არასტანდარტ[illegible] შიდის.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარეს ი. დ. **მასლიუკოვს**.

პლენუმის განსახილველად წარმოდგენილი პლატფორმის პროექტი, თქვა მან, შემუშავებულია საყოველთაო-სახალხო განხილვის გათვალისწინებით და შეიცავს სსრ კავშირში ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ორგანიზაციის ღრმად არგუმენტირებულ კონცეფციას. [illegible] ლისუფლების მანძილზე [illegible] ში ამ ურთიერთობების [illegible] ბის კრიტიკული ანალიზი, რომელიც პლატფორმის [illegible] მოცემული, გვაძლევს [illegible] ხის გადაწყვეტაში [illegible] ვების მკაფიო სურათს. [illegible] მოაჩინა ძირითადი მიზეზები, რომლებსაც ეროვნული [illegible] ბის გამწვავება მოჰყვა. ერთი ასეთი მიზეზი, [illegible] მ. ს. გორბაჩოვის [illegible] აღნიშნული, არის [illegible] ურთიერთობისა და [illegible] მეურნეო კომპლექსის [illegible] სისტემის არასრულყოფილება.

ერთიანი სახალხო [illegible] კომპლექსის ფარგლებში [illegible] მოკავშირე რესპუბლიკებ[illegible] ნელოვანი ეკონომიკური [illegible] ციალური მიღწევები [illegible] ბლად უნდა აღინიშნოს [illegible] წლებში გაბატონებულმა [illegible] მეთოდებმა გამოიწვია [illegible] რიგი ნეგატიური შედეგი. [illegible] თვის ბევრმა ფუნქციამ [illegible] ვლოდ მოიყარა თავი ცენტრში, [illegible] შეიკვეცა მოკავშირე [illegible] კების ეკონომიკური [illegible] ლებები. ყოველივე ამან შეასუსტა [illegible] ტა რესპუბლიკების ეკონომიკური [illegible] ამან შეასუსტა რესპუბლიკებისა და რეგიონების დაინტერესება, მთლიანად განვითარების პროცესში, მათ ტერიტორიაზე მდებარე საწარმოების სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე, წარმოების ეფექტიანობაზე მათი ზეგავლენის შესაძლებლობა. ამას მოჰყვა მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისთვის, ბოლო დროს კი რეგიონთაშორისი და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის გართულებისათვის მათი როლისა და პასუხისმგებლობის შემცირება.

თანამედროვე პირობებში თვითგამორკვევის, სუვერენიტეტის ეკონომიკური შინაარსი, როგორც პლატფორმის პროექტშია აღნიშნული, გამოიხატება რესპუბლიკების სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე. ეს ქვეყანაში მიმდინარე რადიკალური ეკონომიკური რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა.

მოკავშირე რესპუბლიკაში ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის გარდაქმნის ზოგადი პრინციპები [illegible] სსრ კავშირში ლიტვის, ესტონეთის და ლატვიის სს რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობის [illegible] თვითდაფინანსების [illegible] კონცეფციის შემუშავება სხვა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებისა, რუსეთის ფედერაციის ოლქებისა და მხარეების.

ეს დოკუმენტები ითვალისწინებს ამა თუ იმ რეგიონის [illegible] და განვითარების დონეს, მათ სპეციალიზაციას საერთო-სახალხო-სამეურნეო კომპლექსში. ეს არსებითად სწორი მიდგომაა, მაგრამ, [illegible] მოკავშირე რესპუბლიკები სამეურნეო ანგარიშის რეალიზაციის ფორმებისა და მეთოდების მრავალფეროვნებას, საჭიროა უზრუნველყოთ თანასწორი უფლებები ყველასათვის [illegible] ეკონომიკური [illegible] რესპუბლიკების ინტერესების [illegible] საერთო-სახელმწიფო ინტერესების ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის შემადგენლობაში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სხვა ეკონომიკურ ორგანოებთან, მოსკოვის საქალაქო აღმასკომთან, მოსკოვის საოლქო აღმასკომთან ერთად ეწევა კონკრეტულ მოსამზადებელ მუშაობას იმისათვის, რომ მოკავშირე რესპუბლიკები, მოსკოვი და მოსკოვის ოლქი ამ ზოგიერთი სხვა ოლქი და მხარე სამეურნეო ანგარიშის და თვითდაფინანსების პრინციპებზე გადავიდნენ 1990 წლიდან.

ორატორმა [illegible] შეახსენა, რომ მიმდინარე წლის 1 სექტემბერს მიღებული მთავრობის დადგენილება 1990 წლიდან მეურნეობრიობის ახალ პირობებზე ბელორუსიის სს რესპუბლიკის გადასვლის უპირველეს ღონისძიებათა შესახებ. მასში გათვალისწინებულია [illegible] რესპუბლიკის [illegible] სფეროს, სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მართვის [illegible] ბაზის განმტკიცება მისი დამოუკიდებლობის გაფართოების ღონისძიებათა კომპლექსი.

განსაზღვრულ რესპუბლიკის გამგებლობაში დაახლოებით 50 საკავშირო დაქვემდებარების საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების გადაცემა, ბელორუსიის სს რესპუბლიკის 5 საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს და კომიტეტის გარდაქმნა მართვის შესაბამის რესპუბლიკურ ორგანოებად, ამასთან [illegible] რომ მუშაობა საწარმოთა გადაცემისათვის გაგრძელდება. ამ დადგენილებას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ბელორუსია პირველი რესპუბლიკაა, რომელიც [illegible] რეგიონალურ სამეურნეო ანგარიშზე [illegible] პრინციპებისა და კანონის პროექტის შესაბამისად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამა წლის 27 ივლისის დადგენილების შესაბამისად მიმდინარეობს მზადება 1990 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო ანგარიშზე ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის სს რესპუბლიკების გადასვლისათვის. [illegible] მეურნეობრიობის ახალ პირობებში რესპუბლიკების ბიუჯეტების ფორმირების და საწარმოების ამ რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოების გამგებლობაში გადაცემის, საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოების ურთიერთმოქმედების პრინციპების, საფინანსო-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირების და მთელი რიგი სხვა საკითხები.

ამ დიდმნიშვნელოვანი მუშაობის დასრულებას, თქვა შემდეგ ორატორმა, ხელს უშლის პრინციპული ხასიათის არსებითი უთანხმოებები. ბალტიისპირეთის რესპუბლიკების კონცეფცია ემყარება პირობას, რომ [illegible] ისინი ფლობდნენ [illegible] რესურსებს, რომ რესპუბლიკებს გადაეცეს საკავშირო დაქვემდებარების ყველა საწარმო, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, როგორც ეს ლიტვის სს რესპუბლიკის წინადადებებშია, რომ მათ განახორციელონ დამოუკიდებელი, საერთო-საკავშიროსაგან განსხვავებული პოლიტიკა ფინანსების, კრედიტისა და ფასწარმოქმნის სფეროში. რესპუბლიკების ტერიტორიაზე მთელი ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირება გათვალისწინებულია მხოლოდ რესპუბლიკური კანონებით, სსრ კავშირის და სხვა რესპუბლიკების ურთიერთობა უნდა აიგოს სახელშეკრულებო საწყისებზე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

დავით კაკაბაძის დაბადების 100 წლისთავის გამო

მშობელი ბუნება — შთაგონების წყარო

დავით კაკაბაძე საქართველოს ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვან პერიოდში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე. ეს იყო ეპოქალური გარდატეხის ხანა. ამ ხანის ძიებები და იდეალები ნათლად აისახა მხატვრის შემოქმედებაში, რომელიც ორგანულად იყო დაკავშირებული თანამედროვეობასთან, ეროვნულ კულტურასთან.

დ. კაკაბაძე დაიბადა 1889 წელს ქვემო იმერეთში, სოფელ კუხში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1893 წელს ოჯახი ქუთაისში გადასახლდა.

დავითი ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა და მხატვარ პაევსკისთან მეცადინეობდა. როდესაც VII კლასში გადავიდა, გიმნაზიაში მისი ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. 1908 წელს ჟურნალ „საქართველოში“ გამოქვეყნდა დავითის ნახატები: „შეძლებული გლეხის მოსახლეობა“, „რთველი იმერეთში“ და სხვა. ამ ჩანახატებში უკვე გამოვლინდა დავითის დაკვირვების უნარი, ინტერესი იმერეთის პეიზაჟებისადმი.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, დ. კაკაბაძემ მოწინავე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებისა და კერძო საქველმოქმედო საზოგადოებების დახმარებით შეძლო მიეღო უმაღლესი განათლება პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. თან მხატვარ ლ. დმიტრიევ-კავკაზსკის სახელოსნოში მეცადინეობდა.

1916 წელს დ. კაკაბაძემ დაამთავრა უნივერსიტეტი, 1918 წელს დაბრუნდა საქართველოში, თბილისში დამკვიდრდა და გიმნაზიაში ბუნებისმეტყველებისა და ხატვის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა.

ამ დროს დ. კაკაბაძე 29 წლისაა. იგი უკვე ჩამოყალიბებული მხატვარია, გარკვეული გამოცდილება აქვს ხელოვნების თეორიის დარგში; მას სამხატვრო მანიფესტის შედგენაშიც მიუღია მონაწილეობა. ამ დროისათვის დ. კაკაბაძეს შემუშავებული აქვს შემდეგი მუშაობის პროგრამა: 1. უპირველეს ყოვლისა, დიდი და ხანგრძლივი მუშაობა. 2. ხალხის, მისი ზნე-ჩვეულების და ცხოვრების შესწავლა. 3. გაცნობა ხელოვნების ნაშთებისა, რათა შეიგნო რაში გამოიხატებოდა წინათ „მხატვრული ენა“. 4. რაც შეიძლება მეტი ცოდნა — გაეცნო ხელოვნების სხვადასხვა პრინციპებს (შექმნილს სხვადასხვა ერის მიერ). 5. მხატვარს უნდა ახსოვდეს, რომ ხელოვნება — მეცნიერებაა. 6. საუკეთესო მასწავლებელი ქართული „მხატვრული ენის“ მიგნებისათვის არის ბუნება, სადაც აღიზარდა და ცხოვრობს ქართველი ერი.

ეს პროგრამა მხატვრის მსოფლმხედველობის ნათელი მაჩვენებელია. დ. კაკაბაძის შემოქმედებითი გზა — რთული და გარჯით აღსავსე — გვიჩვენებს, რომ მხატვარს არ უღალატია ამ პრინციპებისათვის.

1913-1918 წლებში შეიქმნა „იმერული ნატურმორტი“, პეიზაჟები, ოთხი ავტოპორტრეტი (მათ შორის ერთი კუბისტური), მამის პორტრეტი, დედის ორი პორტრეტი, ძმისა და მეგობრის პორტრეტები. 1918 წლის შემდეგ დავით კაკაბაძე პორტრეტს აღარ დაბრუნებია. დ. კაკაბაძის პორტრეტებში აისახა მხატვრის თეორიული შეხედულებები ამ ჟანრის მთავარ ამოცანებზე: „პორტრეტში საჭიროა გამოხატული იყოს არამც თუ გარეგანი, ინდივიდუალური სახე ადამიანისა, არამედ შინაგანი სახე. ამას გარდა, პორტრეტში გამოხატული უნდა იყოს სახე საზოგადოდ ადამიანისა“.

ავტოპორტრეტებში დ. კაკაბაძე არა მხოლოდ საკუთარ პიროვნებას უკვირდება, არამედ ქმნის განზოგადებულ მხატვრულ სახეებს, თითოეული ავტოპორტრეტისათვის გამონახულია განსხვავებული კომპოზიციური და ფერწერული მიდგომა. თუ ავტოპორტრეტებში: „ბროწეულით“ (1913 წ.) და „ნაცრისფერ ხალათში“ (1917 წ.) დიდი მნიშვნელობა ენიჭება პეიზაჟურ ფონს, „ავტოპორტრეტში სარკესთან“ (1914 წ.) ყურადღება ადამიანის განწყობაზეა გამახვილებული.

ცნობილ ტილოში „იმერეთი — დედაჩემი“ (1918 წ.) მხატვარი ქმნის დედისა და მშობელი ბუნების ამაღლებულ სახეს. მშრომელი გლეხის ქალის ფიგურა გამოსახულია იმერეთის პეიზაჟში. ლაკონიურად გადმოცემული დედის ფიგურა, დაღლილი, დაფიქრებული სახე, ორგანულად ერწყმის გარემოს. ეს მიწა, ფერადი „ნაჭრებით“ ცამდე განფენილი, დედის ხელებითაა მოვლილი. ნიშანდობლივია ამ სურათის სახელწოდება. „სურათის სახელში უნდა მოჩანდეს მთელი მისი შემადგენლობა, რადგან სურათის რკალი მისი სახელით იჭედება“, — ასე თვლის მხატვარი.

იმერეთის ფერწერული პეიზაჟების სურათში განსაკუთრებულად მკაფიოდ გამოჩნდა დ. კაკაბაძის ეროვნული ენის ძიებები. დ. კაკაბაძეს სამართლიანად მიაჩნდა, რომ ქართული ხელოვნებისათვის ნიშანდობლივია კომპოზიციის კლასიკური აღნაგობა, ხაზობრივი მკაფიოება და დეკორატიულობა.

ამ პეიზაჟებში ყურადღებას ერთი თავისებურება იპყრობს —სურათში იგრძნობა მზე, მაგრამ იგი არსად არ ჩანს. მზის სხივების შუქი გადმოცემულია ფერის ჟღერადობით.

იმავე 1918 წ. დ. კაკაბაძე პირველად მიმართავს ქალაქის პეიზაჟს. და ქმნის ძველი თბილისის ჩანახატების სერიას. 22 ნახატში გადმოცემულია თბილისის თავისებური, რამდენადმე ქაოსური განაშენიანება, სადაც ეკლესიათა გუმბათები პაწაწინა სახელოსნოებს უპირისპირდება, ბათქაშმოცლილი კედლების მეზობლად კი ვიწრო შუკებზე გადმოკიდებული აივნების ნატიფი რიკულები ჩანს. უფრო ზედმიწევნითაა გადმოცემული არქიტექტურის ორნამენტული მოტივები — ეს შეიძლება ავხსნათ თავისთავად ორნამენტის მეტი მხატვრული ღირსებითაც და მისდამი დ. კაკაბაძის საგანგებო ინტერესითაც — იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლობდა ორნამენტის განვითარებას და მოჩუქურთმებული ნივთების დიდი კოლექციაც შეუგროვებია.

მხატვარი ცდილობს საზოგადოების ყურადღება ძველი თბილისის ბედ-იღბალს მიაპყროს, 1919 წელს დ. კაკაბაძე ჟურნალ „შვიდ მნათობში“ წერილს აქვეყნებს: „ძველ თბილისს ჩვენი წარსულის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. იმ ნაშთებში, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, კიდევ ნათლად ჩანს წარსული ცხოვრების სახე. როდესაც იმ ვიწრო, ყრუ და დაბნეულ ქუჩებში დაიარებით, სადაც კიდევ შერჩენილია ძველი თბილისის სახლები, სიძველის სიდიადის გრძნობას განიცდით... აუცილებელი საჭიროებაა, რომ ძველი თბილისის ნაშთებს ახლავე სათანადო ყურადღება მიექცეს... თუკი ჩვენ ძველი თბილისის სიძველეების შენარჩუნებას ახლავე ხელი არ მოვკიდეთ, მერმე უკვე გვიან იქნება“, — წერს დ. კაკაბაძე.

1919 წელს თბილისში გაიხსნა ქართველ მხატვართა პირველი გამოფენა. მონაწილეთა შორის იყვნენ როგორც უფროსი თაობის წარმომადგენლები — გიგო გაბაშვილი, ალექსანდრე მრევლიშვილი, მოსე თოიძე, ისე ახალგაზრდა მხატვრები — დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი და ვალერიან სიდამონ-ერისთავი.

დავით კაკაბაძემ გამოფინა 1913-1918 წლების 49 ნამუშევარი: ფერწერა — პორტრეტები, ნატურმორტი, პეიზაჟები, კუბო-ფუტურისტული სურათი „დასაფლავება იმერეთში“, ნახატები და სხვა.

იმავე 1919 წელს დ. კაკაბაძე მიემგზავრება პარიზს. საფრანგეთში გამგზავრებით მთავრდება პირველი პერიოდი დავით კაკაბაძის შემოქმედებაში. იმ დროისათვის იგი უკვე სავსებით ჩამოყალიბებული დიდი მხატვარი იყო: მიუხედავად იმისა, რომ მან საფრანგეთში და შემდეგ საქართველოშიც ბევრი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები შექმნა, არსებითი და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი უკვე ნათქვამი ჰქონდა.

პარიზში დ. კაკაბაძესთან ერთად სხვა ახალგაზრდა ქართველი მხატვრებიც მიავლინეს — ლადო გუდიაშვილი, შალვა ქიქოძე, ელენე ახვლედიანი, ქეთო მაღალაშვილი, მიხეილ ბილანიშვილი. ოციანი წლების მეორე ნახევარში ყველანი დაუბრუნდა სამშობლოს და ყველამ თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა ახალი ქართული ხელოვნების განვითარებაში.

დ. კაკაბაძე პარიზში ჩამოსვლისთანავე ჩაერთო კულტურულ ცხოვრებაში, მუშაობს ფერწერის და გრაფიკის დარგში, იღებს მონაწილეობას გამოფენებში, გამოდის ლექციებით ხელოვნების საკითხებზე.

როდესაც ეცნობი დავით კაკაბაძის მოღვაწეობას პარიზში ცხოვრების წლებში (1919-1927), გაკვირვებს მისი შრომისმოყვარეობა, მისი ინტერესების და შემოქმედების მრავალფეროვნება: ჟანრული სურათი და პეიზაჟები, აბსტრაქციული კომპოზიციები და კოლაჟები, დეკორაციული ქანდაკება...

აქ კაკაბაძემ რამდენიმე დიდი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების სერია შექმნა: „ბრეტანი“, „პარიზის კუთხეები“, „დეკორატიული კომპოზიციები“, „ყვავილოვანი ბაღების აბსტრაქტული ფორმები“ და სხვა. იგი ერთი და იმავე მასალით ასრულებს ერთნაირი ფორმატის ათობით სურათს. ყოველი სერიისათვის ერთი რომელიმე მანერაა არჩეული. ამ მრავალფეროვნებას ახასიათებს მკაფიო მიზანდასახულობა და სისტემურობა.

პარიზში დ. კაკაბაძის ყურადღება მიიპყრო ქალაქის პეიზაჟმა. იგი ასრულებს სერიას „პარიზის კუთხეები“, სადაც ასახულია სენის სანაპირო, ხიდები, პარიზის ქუჩები, სახლები და ბულვარები, რომლებშიც თანამედროვე ქალაქის დინამიკური ხასიათი იგრძნობა.

1921 წელს მხატვარმა შექმნა აკვარელების სერია „ბრეტანი“. წისქვილები და სოფლის პატარა სახლები, ნავები, კლდოვანი ზღვის ნაპირი გადმოცემულია ფართო მონასმით. გამჭვირვალე ფერები დადებულია ნოტიო ქაღალდზე, გამოსახულება თითქოს მქრქალდება და ერწყმის ფურცლის ზედაპირს. ეს ხერხი ახალია მხატვრის შემოქმედებაში. ამით დ. კაკაბაძე გადმოგვცემს იმ ნათელ, მზიან ჰაეროვნებას, რომელიც დამახასიათებელია საფრანგეთის ამ კუთხისათვის.

ამ სერიის მოტივებზე შექმნილ აბსტრაქტულ კომპოზიციებში „აფრებიანი ნავები“ და „ყვავილოვანი ბაღების აბსტრაქტული ფორმები“, რომლებიც ამავე პერიოდში აქვს დახატული, ჩვენ ვხედავთ სულ სხვაგვარ მიდგომას და სხვაგვარ ტექნიკას. აქაც, ძირითადად, აკვარელია ნახმარი, მაგრამ აქ ფერადოვან ლაქას, ხაზობრივ სილუეტს დამოუკიდებელი მნიშვნელობა ენიჭება.

დ. კაკაბაძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სივრცის პრობლემას. იგი თავის თეორიულ ნაშრომში „ხელოვნება და სივრცე“ წერს: „სივრცის გადმოცემა ბრტყელ ზედაპირზე სხვადასხვა საშუალებით ხდება: ხაზი, ფერადობა, რელიეფური გამოსახვა, ზედაპირის გაბრწყინება და სხვა“.

ამ პრობლემის საინტერესო გადაწყვეტას ვხედავთ დ. კაკაბაძის კოლაჟებში. რელიეფური გამოსახულება, ლაპლაპა ლითონის გამოყენება, ელექტრონათურებისა და სარკეების ჩართვა კომპოზიციაში — ამ ხერხებით მხატვარი ქმნის ახალ, არატრადიციულ სივრცეს სურათში.

ოციან წლებში, როდესაც დავით კაკაბაძე პარიზში ჩავიდა, იწყება კუბიზმის განვითარების მეორე ეტაპი. ხელოვანმა ჯერ კიდევ ათიან წლებში შექმნა კუბო-ფუტურისტული კომპოზიციები „კუბისტური ავტოპორტრეტი“ და „დაკრძალვა იმერეთში“, ბუნებრივია, რომ პარიზში დ. კაკაბაძე კვლავ დაუბრუნდა ამ მიმართულებას. 1920 წელს იგი ფრანგულ ენაზე სცემს წიგნს „კონსტრუქციული სურათის შესახებ“, სადაც ჩამოყალიბებულია ფრანგული კუბიზმის პრინციპები, ამ პერიოდში იგი გატაცებულია ახალი მხატვრობის კანონების ძიებით. ამ თეორიულ ძიებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მისი სურათების სერიები: „კუბისტური კომპოზიციები“, „ფერი და სივრცე“, „სივრცე, ხაზი და ფერი“ და ა. შ.

მაგრამ მაშინაც, როცა დ. კაკაბაძე მოდერნისტული ხელოვნებით იყო გატაცებული, იგი ეროვნულ ნიადაგზე იდგა. ერთ წერილში დ. კაკაბაძე წერდა: „... აქაური ზოგიერთი მწერალი იმ აზრისაა, რომ ჩემი ხელოვნება მოდერნისტულია და ძლიერ ეროვნული სახისაა, რადგან იმ ძლიერ განსხვავებას, რაც ჩემსა და აქაურ სხვა მხატვრებშია, სწორედ აღმოსავლურს ჩემს თვისებაში ხედავენ...“.

1927 წელს დ. კაკაბაძე საქართველოში დაბრუნდა. სამშობლოში დაბრუნებამ მხატვრის წინაშე რთული ამოცანები წამოჭრა.

საბჭოურ სახვით ხელოვნებაში 1930-იან წლებში ახალი ეტაპი იწყება. იმდროინდელი ხელოვნების ხასიათს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრების მოვლენები. ხელოვნების ყველა დარგში დამკვიდრებულია „სოციალისტური რეალიზმი“. ჩნდება ახალი თემები: პეიზაჟები, რომლებშიც აირეკლება ახალი ცხოვრების ნიშნები — ჰიდროელექტროსადგურები, ხიდები, ქარხნები, კოლექტიური მეურნეობები და ა. შ.; პორტრეტში მთავარ ადგილს იკავებს პოლიტიკური მოღვაწეობის ჯგუფური გამოსახულებები, ნატურმორტი არააქტუალურ თემად ითვლება... იწყება გაფთრებული ბრძოლა „ფორმალიზმთან“.

დ. კაკაბაძისათვის ძნელი აღმოჩნდა მხატვრულ ცხოვრებაში ჩართვა. 1927-დან 1933-მდე მხატვარს არ შეუქმნია დაზგური სურათი. თვით ხელოვანმა ეს წლები დაახასიათა, როგორც „დუმილის პერიოდი“.

ამ პერიოდში დ. კაკაბაძე მოღვაწეობდა კ. მარჯანიშვილის თეატრში. შექმნა დეკორაციების და კოსტუმების ესკიზები („ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, „ყვარყვარე თუთაბერი“, „ნინოშვილის გურია“ და ა. შ.).

1933 წელს მიეკუთვნება ამ პერიოდის პირველი დაზგური ნამუშევარი — გრაფიკული სერია „რიონჰესი“. ინდუსტრიული მოტივები ამ პეიზაჟებში ეწინააღმდეგება ბუნებას. ჰიდროელექტროსადგურის მკაცრი, სწორკუთხა ფორმები არღვევენ იმერეთის პეიზაჟის ჰარმონიულობას. ფერწერულ ტილოში, რომელშიც მხატვარი შემდგომში უბრუნდება იგივე თემას („რიონჰესი“, 1934 წ.), ეს „კონფლიქტი“ უკვე დაძლეულია, — თავისუფლად დახატული რიონჰესის შენობა აღარ იკითხება უცხო სხეულად. ამჟამად ეს არის ინდუსტრიის და ბუნების ერთმთლიანობის ჩვენება.

40-50-იან წლებში დ. კაკაბაძემ შექმნა რამდენიმე სურათი ინდუსტრიულ თემაზე: „ფოთი, ელევატორი“, „სვანეთი, მადნების დამუშავება“, „ყაზბეგი“, „რუსთავი“ და სხვ.

დავით კაკაბაძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მისი მშობლიური იმერეთის ბუნებას. „იმერეთის“ პეიზაჟებს მხატვარი ქმნიდა მთელი ცხოვრების განმავლობაში 1912-1913, 1915, 1917-1919, 1934-1944 წლებში. „მხატვრულ წერილებში“ დ. კაკაბაძე წერს: „განსაკუთრებული თვისება ჩვენში ბუნებისა არის ფერადების სიძლიერე, ფორმის და მოხაზულობის მარტივობა“.

პარიზის პერიოდის ცდებმა ფერის დარგში მხატვრის პალიტრას მეტი სითამამე მიანიჭა. ეს განსაკუთრებულად კარგად ჩანს 1934 და 1944 წლების იმერულ პეიზაჟებში.

ლაკონიური ფერადი ლაქებით გადმოცემული მიწის „ნაჭრები“ უფრო მკაფიო და კონტრასტული გახდა. იმერეთის ბუნების განზოგადება აბსტრაგირებამდეა მისული, მაგრამ მხატვრის შთაგონების წყაროა რეალური ქართული ბუნება.

იმერეთის ბუნების კაკაბაძისეული სახე იმდენად ალალია, რომ საქართველოს ამ კუთხეს მისი თვალებით ვხედავთ.

დავით კაკაბაძეს რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე შემოქმედებითი გზა აქვს გავლილი. მას ახასიათებდა შეუპოვრობა, მიზანდასახულობა... ელენე ახვლედიანი იგონებდა: ამ მეტად თავმდაბალი და გულღია კაცის შუბლი მუდამ ფიქრით იყო დაღარულიო.

ამ ფიქრების შედეგია დავით კაკაბაძის სურათები.

მარინე მექმარიაშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

ეკუთვნის რჩეულებს

უთუო მოდერნისტია დავით კაკაბაძე. მას აქვს ცოდნა, და დიდი ხელოვნებისათვის ეს აუცილებელია. ყოველს მის სურათს ახასიათებს ქართული თქმა: „ასჯერ გაზომე — ერთჯერ გამოსჭერი“...

საგულისხმოა დავით კაკაბაძის შესაბამება პეიზაჟისა და პორტრეტისა: ორივეს ეკვივალენტური თანასწორობა ეძლევათ. მხოლოდ ჩემი პირადი შთაბეჭდილებით — პეიზაჟი უფრო ასულდგმულებულია. „ავტოპორტრეტებს“ როცა ვუცქერდი, უნებლიედ გავიფიქრე: პორტრეტი რომ მოსცილდეს სურათს, უკანასკნელი „ხატულობით“ უფრო მოიგებს-თქო.

დავით კაკაბაძეს აქვს თავისი კოლორი. ეს ბევრს ნიშნავს. იმერეთის განუმეორებელი სიმწვანე ზურმუხტოვან ფოთლებში დამუქებული — აი მისი განუყრელი ფერი. მის სურათებში ეს ფერი სჭარბობს. სერია — „იმერეთი“ მხატვრის ესთეტიკურ „გულის-ნებათ“ უნდა ჩაითვალოს პორტრეტებში. მაგრამ არის ნახატი მხატვრის ძმა, მხატვრის დედა (ორი სურათი) გამოცდილი ხელით არის გამოყვანილი: ორივე სურათი ღრმა განცდის ნაყოფია. მაგრამ — როგორცა ვთქვი, — იმერეთის ველი და ბორცვზე მზერას უფრო თავისაკენ იზიდავენ.

დავით კაკაბაძეს შემოაქვს ქართული „ნატურმორტი“-ც. მშვენიერია ეს „კვდარი ბუნება“. მტრედისფერ სითეთრეზე — ორშიმო (ორნაირი), სარცხელი ქურის, დოქი და კარდალი. აქ ყოველ საგანს თავის საკუთარი სული აქვს, თუმცა ბუნების ყოფისაგან გამოსულა (და ამისათვის ვითომ „კვდარი“). ეს „ნატურმორტი“ იმერეთის ქურის თავის გუნებაა.

დავით კაკაბაძე პირველად გვაცნობს თავის თავს. ის ეკუთენის იმ რჩეულებს. რომლებიც იმედებს ყოველთვის ამართლებენ.

გრიგოლ რობაქიძე.
გაზეთი „საქართველო“, 1919 წ. 9 მაისი.

⊙ ეს არის ნაწყვეტი წერილიდან, რომელიც ქართველ მხატვართა სურათების გამოფენას მიუძღვნა მწერალმა.

მომავლის ხელოვნების აპოლოგეტი

„მუზა — კონკრეტული სახე ზოგადი იერით. შემოქმედებას მხოლოდ ინდივიდუალურობა ამართლებს“. ეს დ. კაკაბაძის სიტყვებია. შემოქმედი ადამიანი გენეტიკურად მარტოობისათვის არის განწირული, ამ სიტყვის კარგი გაგებით, და მნიშვნელობა არა აქვს იმას, ის მწერალია თუ მკითხველი, მხატვარი თუ მაყურებელი. მისი მიზანია იცხოვროს არა გარედან თავსმოხვეული ბედნიერებით, არამედ საკუთარი ცხოვრებით, შინაგანი აუცილებლობით, რაკი იცის, ერთხელ დაბადებულს ერთხელ ეძლევა სიცოცხლის უფლება და ისიც იცის, თუ რით მთავრდება იგი. მართალია, დავით კაკაბაძე იმ ქართველ შემოქმედთა მცირე რიცხვს განეკუთვნება, რომელთა ცხოვრება და შემოქმედება დღეს ერის სულიერი გენეზისის ხატად აღიქმება, მაგრამ იგი მაინც უნიკალური, განსაკუთრებული მოვლენაა ქართული კულტურის სინამდვილეში. არც თავისი ბიოგრაფიით, არც შემოქმედებით, არც ადამიანური ბედით და არც პიროვნული მისიით იგი არ ჰგავდა სხვა ქართველ შემოქმედთ. მან რამდენიმე ათეული წლით გაუსწრო მხატვრულ-ესთეტიკური მოვლენების განვითარებას საქართველოში და მომავლის ხელოვნების აპოლოგეტად მოგვევლინა. დავით კაკაბაძე გახლდათ ჭეშმარიტად რენესანსული ტიპის შემოქმედი. იგი თავის თავში აერთიანებდა მხატვარს, მოქანდაკეს, მკვლევარს, მეცნიერს. სჯეროდა: „თუ ვერ გრძნობ საგნებსა და მოვლენებს შორის მიზეზობრივ კავშირს, ვერავითარი სტილისტური მიმართულება: სიუჟეტი, იდეა, ფორმა ვერ მიანიჭებს ხელოვნების ნაწარმოებს მხატვრულ ღირებულებას“. მან, როგორც ღრმად განათლებულმა ადამიანმა იცოდა — ის, რაც წარსულ ეპოქებს შეუქმნია, ყველა პრობლემა, რომელიც გარდასულ საუკუნეთა მხატვრების წინაშე მდგარა, იმ მიზეზობრივი და ესთეტიკური რიტმით იყო დამუხტული, არსებული საზოგადოების სულიერ ინტერესებს რომ გამოხატავდა. ამიტომაც უმზერდა იგი აწმყოს წარსულიდან და ნათელი გონებით ჭვრეტდა და აანალიზებდა მომავალს.

დავით კაკაბაძე არასოდეს ყოფილა ორთოდოქსი შემოქმედი, მხატვარი, რომელიც ტრადიციულ ფორმებს და თეორიებს გარსუვლის და აანალიზებს. მისი მზერა ყოველთვის სიახლისაკენ იყო მიმართული და საკუთარ მიზანს ყოველთვის ყამირზე გამავალი გზით უახლოვდებოდა. მართალია, ფიროსმანისაგან განსხვავებით, მისთვის უცხო იყო „მარტოობის დღესასწაული“, მაგრამ იგი მაინც არასოდეს არ ყოფილა სოციალურად და პოლიტიკურად თავისი ქვეყნის ისეთი აქტიური მოქალაქე, ყველა მოვლენაზე სტიქიურად რომ რეაგირებს და თავისი ძირითადი მოვალეობა რომ ავიწყდება. დავით კაკაბაძის ბუნება, ნიჭი, ინტელექტი, ყოველთვის მომავალზე ფიქრით და ოცნებით იყო დამუხტული. იგი მძაფრად გრძნობდა ხელოვნებისა და მეცნიერების კავშირის აუცილებლობას. გრძნობისა და გონების მთლიანობის მნიშვნელობის აუცილებლობას კაცობრიობის განვითარებაში. მისი ინტერესების მიღმა არ დარჩენილა თანამედროვე სახვითი ხელოვნების არც ერთი მხატვრული მიმართულება. შეიძლება ითქვას, რომ მან, საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა, იგრძნო დასავლეთის კულტურასთან შეხების გარდაუვალობა და თავისი შემოქმედებით, გახდა უშუალო მონაწილე ამ რთული პროცესისა და იგი პიკასოს, ბრაკის, კანდინსკის, მალევიჩის და სხვათა გვერდით თანამედროვე პროგრესული ხელოვნების ერთ-ერთი ნათელი წარმომადგენელია. ამიტომ არ დარჩენილა დავით კაკაბაძის ტალანტი საქართველოს კულტურისა და მეცნიერების ისეთი კორიფეების ყურადღების მიღმა, როგორებიც იყვნენ: დიდი ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო მარი და სხვები. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, მხატვრის სიცოცხლეშივე მისი შემოქმედებისადმი და პიროვნებისადმი დამოკიდებულება არ გასცილებია ოფიციალური „ყურადღების სტერეოტიპს“ და მისი გამორჩეული ტალანტი არასოდეს დაფასებულა გამორჩეულად.

დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ დ. კაკაბაძე ფუძემდებელია საქართველოში აბსტრაქტული მხატვრობისა და ერთ-ერთი გამომგონებელი, თუ პირველი არა, სტერეოკინოსი. და თუ ეს ჯერ კიდევ საყოველთაოდ არ აღიარებულა, ისევ და ისევ იმ სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო, რუსთაველის და ვაჟას ქვეყანა დღემდე, ძალიან ბევრს, მხოლოდ სტალინისა და ბერიას სამშობლოდ რომ მიუჩნევია.

ჩვენს სახელმწიფოში მიმდინარე დემოკრატიულმა პროცესმა უდიდესი პრობლემების წინაშე დააყენა ჩვენი ქვეყანა. რადიკალურად იცვლება არა მარტო სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური თუ ეკონომიკური სტრუქტურა, იცვლება ადამიანის ფსიქოლოგია, მისი დამოკიდებულება ისტორიისადმი. სულიერ ღირებულებათა გადაფასების რეალურ შედეგებზე საუბარი, მართალია, ჯერჯერობით ნაადრევია, მაგრამ ადრე ხელშეუხებელი და ხელდასმული ბევრი ავტორიტეტის „კვარცხლბეკი“ რომ საგრძნობლად შეირყა, ეს აშკარაა. ლიტერატურისა და ხელოვნების არა ერთი და ორი წარმომადგენელი (და არა მხოლოდ ლიტერატურისა და ხელოვნების), პარადოქსის წინაშე აღმოჩნდა, — რასაც გუშინ მთელის გულწრფელობით უმღეროდა, რასაც მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება მიუძღვნა, ფარსად იქცა. სიცოცხლის ათეული წლები ვაკუუმმა მოიცვა. ბევრმა დაკარგა საკუთარი ბიოგრაფია. მართალია, ყოველთვის იყვნენ ხელოვანნი, რომლებიც ინტუიციით, ტალანტით, ნათელხილვის ნიჭით დაჯილდოებულნი, ღრმად გრძნობდნენ სინამდვილის არსს და უშეღავათოდ ემსახურებოდნენ მხოლოდ სიმართლეს და მშვენიერებას, არ ღალატობდნენ საკუთარ სინდისს და რწმენას, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთთა რიცხვი ყოველთვის მცირე იყო და ისინი ვერ ცვლიდნენ საზოგადოების ესთეტიკური შემეცნების სტერეოტიპს. ვერ შეცვალა ის დავით კაკაბაძემაც. მისთვის უცხო იყო „ადამიან-ფლუგერის“ თვისებები, მხატვრულ-იდეურ თუ მოქალაქეობრივ პოზიციას „ამინდის მიხედვით“ რომ იცვლის. ამიტომაც ვერ შეეგუა იგი სულიერ უამინდობას, მოდურ სახეცვლას და ნაადრევად ემსხვერპლა საკუთარ ბუნებას, მაგონდება პოეტის სიტყვები: „ჩემი თავშესაფარი ჩემი სულია, სხეული ბედნიერების ილუზიაა“. მან, მართალია, იხსნა სული, რაკი მოასწრო შემოქმედებით უკვდავებაში გარდასახვა, მაგრამ ვერ ეზიარა მიწიერ ბედნიერებას, რაკი, უსამართლო ბრძოლებით დაღლილმა, სხეული ვერ გადაარჩინა.

დღეს, როცა ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლამ საყოველთაო ხასიათი მიიღო, როცა მასობრივი კულტურა, ათასი ჯურის პოპხელოვნება, ხელოვნების იზმები და მიმართულებები ამ უფლების ინერციით იპყრობს სცენას თუ საგამოფენო დარბაზებს, დავით კაკაბაძის ღრმად ეროვნული შემოქმედება გვიბრუნებს რწმენას, რომ ჭეშმარიტი ტალანტი, როგორც პლანეტა დროსა და სივრცეში, ყოველთვის საკუთარ ორბიტაზე მოძრაობს და მას მრავალგზის შეხვდება მომავალი თაობები. დავით კაკაბაძის ნათელი შემოქმედებაც განაგრძობს სიცოცხლეს. მას მრავალგზის შეხვდება მომავალი თაობები. დავით კაკაბაძე ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელი და შეუცნობი ხელოვანია. მისი შემოქმედებითი მნიშვნელობა სცილდება ქართული კულტურის ინტერესებს და მთელი მსოფლიოს პროგრესული ხელოვნების განუყოფელ ნაწილად გადაიქცევა.

ელგუჯა ამაშუკელი.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

ჭყინტი ტარო!..

ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

წერილი „კომუნისტს“

მცირე განმარტება

26 ივლისის „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ჩემი „წერილი „კომუნისტს“. ამავე გაზეთის 4 აგვისტოს ნომერში, სხვა გამოხმაურებებთან ერთად, მას პასუხად მოჰყვა ი. ტაბუცაძის „ღია წერილი ბ-ნ გურამ ფანჯიკიძეს“.

ი. ტაბუცაძე, როგორც თავისი გვარის ქვეშ წერს, ყოფილა თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრი და იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი. მით უფრო სამწუხაროა, რომ მისი წერილი წარმოადგენს პიროვნების შეურაცხყოფის, დემაგოგიისა და პროვოკაციის „შესანიშნავ“ ნიმუშს. იგი სრულებითაც არ ემსახურება იმ პრობლემების გადაჭრას, რომლებიც დღეს დგას ქართველი ერის წინაშე. თუმცა ეს არც ჰქონია მიზნად ღია წერილის ავტორს. ამ წერილით მას სურვილი ჰქონდა რამდენიმე კურდღელი დაეჭირა. მაგრამ შეცდა მეცნიერი, ვერ მოზომა თბილისის სასამართლოს წევრმა, და უნებურად, თავისი ხაძრახისი მეთოდებით, თვითონვე დაამტკიცა იმ დებულებების სიმართლე, რომლებზეც მე მაქვს გამახვილებული ყურადღება ჩემს წერილში.

მე, რასაკვირველია, დავწერე საპასუხო წერილი, მაგრამ შემდგომში ისეთი რამ შევიტყვე, რომ წერილის დაბეჭდვაზე უარი ვთქვი.

უფრო მეტიც, თუ ჩემს გულწრფელობაში მკითხველს ეჭვი არ შეეპარება, მინდა დამიჯეროს, რომ შემეცოდა კიდეც მეცნიერი იურისტი.

თურმე, მას 1988 წელს გაუსამართლებია ჩვენი ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გია ჭანტურია (ბატონმა გიამ უნდა მომიტევოს, რომ უნებურად გავახსენე უსიამოვნო დღეები).

აი, რას ვკითხულობთ განაჩენში: „გიორგი ოთარის ძე ჭანტურია ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 206^3 მუხლით და მიესაჯოს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის შრომა-გასწორებელ კოლონიაში მოხდით“.

ეჰ, ამხანაგო ტაბუცაძე, ღირს კი ამის შემდეგ თქვენთან ლაპარაკი?

ერთს მაინც გეტყვით: ადამიანის შეურაცხყოფა, დემაგოგია და პროვოკაცია არ არის ძველი ცოდვების მონანიების გზა.

ცოდვების მონანიებას სხვა სიმაღლე, ინტელექტი და სხვა გზები სჭირდება.

გურამ ფანჯიკიძე.

სიახლე

მზე კაცის მსახურია

ქალაქი ცხინვალი წყლის ნაკლებობას რომ განიცდის, ეს კარგად არის ცნობილი. მოსახლეობა განრიგის მიხედვით იღებს წყალს. ასეთ ვითარებაში სასტუმროებს ძალზე უჭირთ, განსაკუთრებით საყვედური ისმის თბილი წყლის უქონლობის გამო.

ამ პრობლემამ ჩააფიქრა ცხინვალის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური სამსახურის მეთაური აივენგო გორგაძე და კიდეც ნახა გამოსავალი. სასტუმროს სახურავზე წყლის რეზერვუარი რომ მოვაწყოთ და გასათბობად მზის ენერგია გამოვიყენოთ, ეს პრობლემა მოგვარდებაო, უთხრა გამოცდილმა სამეურნეო მუშაკმა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ახალგაზრდა თავმჯდომარეს გიორგი გასიევს. დაიწყეს ჩანაფიქრის განხორციელება. აივენგო გორგაძე თბილისში ეწვია საპროექტო-საწარმოო გაერთიანება „სპეცჰელიობმონტაჟს“.

მათ გულთან მიიტანეს ცხინვალელთა გასაჭირი და სწრაფი ტემპით დაიწყეს წყლის გამთბობი მზის ბატარეების დამონტაჟება სასტუმრო „ალანის“ თავზე. დაიდგა 30-ტონიანი წყალშემკრები რეზერვუარი, რაც საკმარისია ერთ დღე-ღამეში მომსახურებისათვის. შემდგომ ტევადობა გაიზრდება. ბატარეები ისეა მოწყობილი, რომ წყალი გათბება არა მარტო მზიან, არამედ ღრუბლიან დღეებშიც. ამ მოწყობილობის დამონტაჟება 90 ათასი მანეთი დაჯდა. მისი ეკონომიკური ეფექტი კი წელიწადში 30 ათასი მანეთია. ასე რომ, სამი წლის შემდეგ მისგან მოგება მიიღება. რაც მთავარია, ხალხი კმაყოფილია.

ეს გათბობის მიზნით მზის ენერგიის გამოყენების პირველი ცდაა ცხინვალში. ამით სხვა ორგანიზაციებიც დაინტერესდნენ.

გივი თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ეს საინტერესოა

ჰონორარი

გამოჩენილი ფრანგი მწერალი ეჟენი სიუ მრავალი მოთხრობისა და რომანის ავტორია. ყველაზე დიდი პოპულარობა მას მოუტანა რომანმა „პარიზის საიდუმლოებანი“. სწორედ ამ რომანზე მუშაობისას (1841-1843 წ.წ.) შეემთხვა უცნაური რამ, რაც იმდროინდელ ფრანგულ პრესაში გამოქვეყნდა, შემდეგ კი სხვა ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებმაც გაავრცელეს. 1903 წელს ეს ამბავი ჟურნალმა „ნივამაც“ გამოაქვეყნა (№44):

„შესანიშნავი ფრანგი მწერალი ეჟენი სიუ 1841 წელს მუშაობდა ცნობილ რომანზე „პარიზის საიდუმლოებანი“, რის გამოც დადიოდა პარიზის ბნელ უბნებში, აკვირდებოდა, სწავლობდა ქურდების ცხოვრებას, მათ ადათებს, განსაკუთრებით კი მათ ჟარგონს და უბის წიგნაკში იწერდა. ერთხელ ის ხალხის ტალღაში მოექცა და ძლივს დააღწია თავი. სახლში დაბრუნებისას უბის წიგნაკი აღარ აღმოაჩნდა. უეჭველი იყო, რომ მოპარეს. უბის წიგნაკში 150 ფრანკი და მის სახელზე მიღებული რამდენიმე ბარათი ედო, მწერალი მხოლოდ ჩანაწერების დაკარგვამ დაალონა.

მეორე დილით დამტარებელმა მწერალს დაბეჭდილი პაკეტი მოუტანა. უსაზღვრო იყო ეჟენი სიუს გაკვირვება, როდესაც მასში თავისი უბის წიგნაკი იხილა. მას ასეთი შინაარსის ბარათი ახლდა: — „მოწყალეო ხელმწიფევ! წუხელ, შინ დაბრუნებისას, მივხვდი თუ ვისთან მქონია საქმე. დაუყოვნებლივ გიბრუნებთ თქვენს უბის წიგნს. მე გადავიკითხე თქვენი შენიშვნები და დავრწმუნდი, რომ თანამედროვე ჟარგონს ლიტერატურული მიზნით სწავლობთ. რადგან ჩანაწერთა უმრავლესობა მცდარია, ჩემს თავს უფლება მივეცი ჩამესწორებინა, ენდეთ ჩემს გამოცდილებას. გარდა ამისა, მათ დავამატე საყოველთაოდ ნახმარი 35 გამოთქმა. ამ შრომის გასამრჯელოდ კი მივითვისე თქვენი 150 ფრანკი, რომელმაც სულზე მომისწრო. თქვენი ერთგული მკითხველი“.

ეჟენი სიუ დიდად კმაყოფილი დარჩა და გამოიყენა მიღებული მასალები“.

სპორტი

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. გასულ ოთხშაბათს გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ორი მატჩი. მესამე ჯგუფში ისლანდიელებმა საკუთარ მოედანზე ანგარიშით 2:1 დაამარცხეს თურქეთის გუნდი და 6 ქულით დაამთავრეს შესარჩევი შეჯიბრება. ამ ჯგუფში გამოდის საბჭოთა ნაკრები, რომელიც 9 ქულით სატურნირო ცხრილის სათავეშია. 2 ქულით ნაკლები აქვთ ავსტრიელებს. მეშვიდე ჯგუფში პორტუგალიელმა ფეხბურთელებმა სტუმრად მოუგეს შვეიცარიის ნაკრებს და 7 ქულით მესამე ადგილზე არიან. ამდენივე ქულა აქვთ ჩეხოსლოვაკიელებს, ლიდერობს ბელგიის ნაკრები — 10 ქულა.

აქვე გაგაცნობთ პირველი ლიგის გუნდების საკავშირო პირველობის მორიგი ტურის შედეგებს: „ტორპედო“-„შინიკი“ — 3:2, „ტავრია“-„გურია“ — 2:0, „ნეფთჩი“-ბათუმის „დინამო“ — 1:1, „კოტაიკი“-„გეოლოგი“ — 1:1, „მეტალურგი“-„კაირატი“ — 0:2, ასკ როსტოვი-„ფახთაქორი“ — 1:1, „სპარტაკი“-„ყუბანი“ — 1:1, ცსკა „კუზბასი“ — 3:0, „დაუგავა“-„როსტსელმაში“ — 2:0, ასკ ლვოვი-„ფაკელი“ — 3:1, „ნისტრუ“ — სტავროპოლის „დინამო“ 1:0.

ჭადრაკი. ტილბურგის (ჰოლანდია) საერთაშორისო ტურნირში ხუთი ტურის შემდეგ ლიდერობენ გარი კასპაროვი და ვიქტორ კორჩნოი — 4-4 ქულა. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ივანჩუკი და ჰიარტარსონი, 2-2 ქულა აქვთ საქსსა და აგდესტეინს, 1,5 — ლუბოევიჩს, 0,5 — პიკეტს. მეხუთე ტურში კასპაროვმა ივანჩუკი დაამარცხა, კორჩნოიმ — პიკეტი.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ კონსტანტინე ვლადიმერის ძე გაბაშვილი დანიშნა საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრის მოადგილედ.

რედაქტორის მოადგილე
მ. უგრეხელიძე.

ტელევიზია—პარასკევი, 22 სექტემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — სახვითი ხელოვნება ჩვენს ეკრანზე. ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დავით კაკაბაძე“. 14.20 — მხატვრული ფილმი „მარია მირაბელა“. 15.20 — სახვითი ხელოვნება ჩვენს ეკრანზე. ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზურაბ ნიჟარაძე“. 15.45 — კინოჟურნალი. 15.55 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „მალაყი“. 17.25 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.00 — მოსწავლეთათვის. „ფანტაზია და მარჯვე ხელები“. 18.35 — ახალგაზრდობისათვის. „ქორწინების სახლის პირველი სართული“. 18.55 — განცხადებები. 19.00 — „ზოგი რამ ჩვენს თავს დავაბრალოთ“. 20.00 — მოამბე. 20.35 — „ეს საქართველოა“. 21.35 — „ჩემპიონატის წინ“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ვიდეო, ვიდეო“...

მეორე პროგრამა. 16.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 17.00 — მხატვრული ფილმი „ხელები მაღლა“. 18.10 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სერაფიმა გლიუკინას საშური და საზეიმო დღეები“. II სერია. 19.25 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — ქართული მხატვრული ფილმი „ბანდიტი აგურის ქარხნიდან“.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.35 — სოფლის საყოფაცხოვრებო კულტურა. 10.00 — ადამიანი და კანონი. 11.30 — დანართი გადაცემისა“... თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა. 12.50 — იცოცხლე, დედამიწავ!. 13.45 — კონცერტი. 14.15 — დოკუმენტური ფილმები. 16.35 — კონცერტი. 17.00 — დოკუმენტური ფილმი „ვეძებ სეკუნდანტს“. 17.20 — ფილმი — ბავშვებს. „ცის ბილიკი“. 18.00 — მეცნიერება: თეორია, ექსპერიმენტი, პრაქტიკა. 18.45 — „დებიუტები, ნაცნობობა, აღმოჩენები...“. 19.25 — საბავშვო იუმორისტული კინოჟურნალი „ერალაში“. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — „ინტერსიგნალი“. 20.30 — პოეზიის წუთები“. 20.35 — ყოფილი მამა, ყოფილი შვილი“. მხატვრული ფილმი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ეს იყო... იყო...“. 23.00 — „თვალსაზრისი“. 0.45 — მულტფილმები დიდებისათვის.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 12.15 — მულტფილმი. 9.35 და 10.35 — ლიტერატურა. V კლასი. 10.05; 11.05 და 12.40 — ინგლისური ენა. 11.35 — გეოგრაფია. VI კლასი. 13.10 — რიტმული ტანვარჯიში. 13.40 — დროებისა და საკუთარი თავის შესახებ. ი. სელვინსკი. 18.00 — ახალი ამბები. 18.10 — „სერაფიმა გლიუკინას სადაგი და უქმე დღეები“. II სერია. 19.25 — ფეხბურთი. „სპარტაკი“ — „შახტიორი“. შესვენებისას — 20.15 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.20 — რიტმული ტანვარჯიში. 21.50 — ხალხური მელოდიები. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ილუზიონი“. მხატვრული ფილმი „მოიპარეს ბომბი“. 0.10 — კრივი. მსოფლიო ჩემპიონატი. 0.55 — ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68434 უე 07204 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14